

49
1919/11 6591



გ. 40 214


ქრონოლოგიური
ბიბლიოთეკა

№ 6.

წელიწადი
● გოგრა ●

ტფილისი
1919 წ.

ჰვირა 5 იანვარი.



ყოველ-პვირპული ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი“

(სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კრებული სამეცნიერო და სალიტერ. განყოფილებით).

ამიერიდან გამოდის **გადახეული ფორმატით და განსაკუთრებული რაღამით.**

ჟურნალი წლის დასრულებამდე პვირპა 5 მან., ხალკე ნომერი 1 მ. 50 მ.

ჟურნალისთვის ყოველგვარი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ბარონის (კალო-უბნის) ქ. ოფიციალურ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია, — ჟურნალ „რესპუბლიკის ჯარისთვის“. ჟურნალის „რესპუბლიკის ჯარის“ სარედაქციო საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, გარდა უქმეებისა, 1—3 საათამდე. ჟურნალის კანტორა ღიაა—10—3 საათამდე.



შინაარსი:

- | | |
|--|---|
| 1) ომის შეწყვეტა (მოწინავე). | 6) სამხედრო საქმე რომის რესპუბლიკაში. |
| 2) კვირული მიმოხილვა ვ. მოძველი. | 7) ჩვენს მხედრობას ლ. ცაგარელი. |
| 3) საუბარი ჯ.-კატთან (ფელეტონი) ივ. გომართელი. | 8) წერილები სხვად და სხვად ქვეყნის პოლიტიკურ წეს-წყობილებებზე პ. საყვარელიძე. |
| 4) ჯარში მეცადინეობის შესახებ ა. ბ. | 9) გმირები ლიკაუსი და სხვა. |
| 5) საქართველო, სამხედრო ისტორიიდან ი. გედევანიშვილი. | |

იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილება

ა მ ი თ ა ც ხ ა დ ვ ბ ს რ ო მ

1919 წლის 1 იანვრიდან იგი ეამოსყემს კვირაში ერთხელ „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულს“.

კრებული ოფიციალური გამოცემა და შიგ მთავსებული იქნება ყველა კანონი, მთავრობის განკარგულებანი სოგადის ხასიათისა და მთავრობის მიერ დამტკიცებული წესდებანი.

საქართველოს პარლამენტის მიერ ამა 1918 წლის 11 ოქტომბრის „კანონთა გამოქვეყნების“ კანონით, ყოველი კანონი ძალაში შედის შვიდის დღის შემდეგ „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულში“ გამოქვეყნებიდან.

წესდებანი სხვა-და-სხვა სამრეწველო, საჯარო და საკრედიტო დაწესებულებებისა დაიბეჭდება „კანონთა კრებულის“ მეორე ნაწილში ცალკე მორჩილებითა და საფისურით.

წლის დამლევეს კრებულს დაერთვის სამ ნაირი ვრცელი სარჩევი: ანბანსეგდ დაწვობილ-საკანონბრივი, ქრონოლოგიური და სისტემატიური.

„კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული“ ედილება წლიურად მთავრობის დაწესებულებათა და მოხელეთათვის 30 მან., კერძო ხელის-მომწერთათვის 40 მან. ქ. ტფილისში. ხოლო ჰროვინ-ციაში ვაკსავნით 50 მან.

თითო ნომერი კრებულისა ცალკე იქნება შეფასებული.

ამა 1918 წლის 26 მაისიდან 1919 წლის 1-ლ იანვრამდე გამოცემულ კანონები უკვე იბეჭდება და სარჩევით ცალკე წიგნად იქნება გამოცემული.

ხელის-მოწერა მიიღება იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილებაში, რომლის სახელობასეგდ უნდა გამოიკსავნოს ფული საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილიდანაც.

მ ი ს ა მ ა რ თ ი:

იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილება ქ. ტფილისში, სახამართლო დაწესებულებათა შენობაში.



სამხედრო შურნაღი

„რესპუბლიკის ჯარი“

(სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში კრებული ლიტერატურულ-სამეცნიერო განყოფილებით)

ოფიციალი განყოფილება.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

20 ოქტომბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 86-ა.

სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო განყოფილებაში ჯარის ნაწილები გზავნიან მოთხოვნილებებს ფულის მისაღებათ სხვა და სხვა საკვების სასყიდლათ, რომელი მოთხოვნილებანიც არ არიან გაშინჯული და შემოწმებული დივიზიის, ბრიგადის, სანაპირო და პოლკების ინტენდანტებისგან და რომელ მოთხოვნილებაშიც არ არის ნაჩვენები არც საფუძველი თხოვნისა, არც რიცხვი ჯარის კაცთა, არც რაოდენობა ცხენებისა, არც ის თუ რამდენი ფული აქვს ჯარის ნაწილს წინანდელი ავანსებიდან, ან რამდენი სურსათ—სანოვაგე აქვს და სხვა.

გარდა ამისა ერთსა და იმავე დროს გზავნიან ერთსა და იმავე საკვებზედ მოთხოვნილებებს ჯარის ნაწილებიც და დამაკმაყოფილებელი ინტენდანტებიც, იყო იმისთანა შემთხვევებიც, როდესაც ჯარის ნაწილები იღებდნენ სურსათს საადმინისტრაციო განყოფილებიდან, სასურსათო და მიწად მოქმედების სამინისტროებიდან და ამავე სურსათის სასყიდლათ თხოულობდნენ კიდევ ფულსაც; უმრავლესი ჯარის ნაწილები სრულებით არ აწარმოებენ საანგარიშო ფურცლებს, ამისთვის საადმინისტრაციო განყოფილება მოკლებულია საშვალეობას იქონიოს მსჯელობა იმაზედ, თუ რა აკლია ამა—თუ იმ ჯარის ნაწილს. რის გამოც ერთი ჯარის ნაწილი იღებს მეტს სურსათს, მეორე ნაკლებს, რაიც არა ნორმალურათ მოქმედობს ჯარის გამოკვებაზედ;

რათა ძლეულ იქნეს ამისთანა არა ნორმალური მდგომარეობა ვებრძანებ:

1. ყველა ჯარის ნაწილებში, სამმართველოებში და საზოგადოთ სამხედრო უწყებების დაწესებულებებში უუქველათ სწარმოებდეს საანგარიშო ფურცლები პურისა და კერძის სარჩოსი, საქონლის საკვების, ჯამაგირების, რომლებშიც უნდა

იყვეს ნაჩვენები ყოველ დღიური ფაქტიურად მყოფი ამა თუ იმ ნაწილში კაცი, ანუ ცხენი და ყოველივე მომატება ანუ დანაკლისი. საანგარიშო ფურცლებში დადასტურებულ უნდა იქმნენ №№ ბრძანებისა და დართვითი ატესტატებისა;

2. თვისდამღვეს კუთვნილი ხარჯი გამოიწეროს დაწესებულ ნორმებით იმ ნამდვილ რიცხვ ჯარის კაცებზედ და ცხენებზედ, რამდენიც საზოგადოდ იმდენად მიმდინარე თვეში, რის შემდგომ მიხედულებისამებრ ხარჯისა, ანუ დანაკლისისა შედგენილ იქმნეს მოთხოვნილებანი მომავალი საჭიროებისათვის და გავგზავნოს საანგარიშო ფურცლებით ერთათ შესამოწმებლად პოლკის, დივიზიის, ბრიგადის, სანაპირო და არტილერიის ინტენდანტებს არა უგვიანეს ახალი თვის 15 რიცხვისა საანგარიშო თვის შემდეგ;

3. ჯარის ნაწილები და დაწესებულებანი, რომელნიც არ შედიან დივიზიაში და ბრიგადაში, ვალდებულნი არიან საანგარიშო ფურცლები გაგზავნონ პირდაპირ საადმინისტრაციო განყოფილებაში;



4. სათანადო ინტენდანტები და საადმინისტრაციო განყოფილება ვალდებულნი არიან გასინჯონ წარმოდგენილი ანგარიშები, და თუ რაიმე შეცდომა აღმოაჩინეს მათში, დაუბრუნონ კუთვნილებისამებრ გასასწორებლად;

5. ფულისა და სანოვაგის მიცემა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც წარდგენილი ანგარიში და ზედშეწონილება ახალი მოთხოვნილებისა შემოწმებული იქნება მოხსენებული ინტენდანტისგან და საადმინისტრაციო განყოფილებიდან.

6. პასუხისმგებლობა მოთხოვნილობის სწორეთ შედგენაში დაეკისროს მოთხოვნილობის შემდგენთ და ხელის მომწერთ; იმ შემთხვევაში კი, თუ იგინი შეუძლობლების გამო ვერ აგებენ პასუხს, ან მათი პოვნა შეუძლებელი შეიქნა—იმ პირთ, რომლებიც გასინჯვენ და შეამოწმებენ სინამდვილეს მოთხოვნილებისას;

7. ნამდვილი საანგარიშო ფურცლები შემოწმების შემდეგ გაიგზავნოს თბილისის პალატაში სარევიზიოთ სამი დღის განმავლობაში, მხოლოდ

Handwritten notes on the left margin: 8455-7, 476, 477





აღმონაწერი საანგარიშო ფუტლიდგან ფულის და სანოვანის შესავალის, გასავალის და დანარჩენის შესახებ სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო განყოფილებაში;

8. საანგარიშო ფურცლები ჯარის ნაწილებში, რომელნიც არ შედიან არც დივიზიის, ან ბრიგადის შემადგენლობაში, საადმინისტრაციო განყოფილებამ გაგზავნოს პირდაპირ კონტროლში იმავე წესით;

9. ყველა ჯარის ნაწილებმა და დაწესებულებებმა სამხედრო სამინისტროსამ გზავნონ კონტროლში ასლები ბრძანებებისა სახელმძღვანელოთ რევიზიის დროს;

10. იმ ჯარის ნაწილებმა, სამმართველოებმა და დაწესებულებებმა სამხედრო უწყებისამ, რომელთაც ეკუთვნით რაიმე თანხა წარსულ დროისა **26 მაისიდან ვიდრე 1 ნოემბრამდის**, ე. ი. დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, შეადგინონ განსაკუთრებული მოთხოვნილებანი და წარუდგინონ იგინი განსახილველად ჩემგინვ დანიშნულს საჯარო კომისიებს; შემდგომ განხილვისა და შემოწმებისა ნაჩვენები კომისიებისა, რომ მოთხოვნილებანი სწორეთ არიან შედგენილი და შეესაბამებიან სინამდვილეს, გაგზავნოს სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო განყოფილებაში ფულის მისაცემაო; წინააღმდეგ შემთხვევაში კი შემოაღნიშნულ დროის დახარჯული ფული არვის მიეცეს;

11. დივიზიის, ბრიგადის უფროსებს და იმ პირთ, რომელნიც თავანთ ნაწილებთადმი აღჭურვილნი არიან უკანასკნელთა უფლებით, მიიღონ ზომები, რომ ჯარის ნაწილებმა პარნათლათ ასრულონ შემოსენებული, რადგან ამახედ იქნება დამოკიდებული საადმინისტრაციო განყოფილებიდან თავის დროზედ ფულის მიღება.

დედანს ხელს აწერს
სამხედრო მინიტრი გიორგაძე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ბ ა

რესპუბლიკის ჯარების მიმართ

19 ქრისტეშობისთვე 1918 წ. ქ. ტფილისი.

ოფიცრების და ჯარისკაცების მცირე რიცხვის გამო, რაიცა აძნელებს პოლკის სასამართლოს დაარსებას სოხუმის ადგილობრივს ლაზარეთთან, და დადგენილის წესით აღძრულის შუამდგომლობის გამო, აღნიშნულის ლაზარეთის იმ ხარისხივანთა საქმის გასარჩევათ, რომელნიც ექვემდებარებიან პოლკის სასამართლოს, ვნიშნავ მე-2-ე მსროლელთა პოლკის სასამართლოს, სადაც უნდა გადაეცეს ლაზარეთის ყველა აღძრული საქმეები.

ცნობა: მუხლები 15, 16 და 17-ე მთავრობის დადგენილებისა, რომელთა დებულება ბრძანებასთან სამხედრო უწყების მიმართ 21 აპრილს 1917 წ. № 233.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ბ ა

რესპუბლიკის ჯარების მიმართ

დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 126

ვაცხადებ საყურადღებოთ საქართველოს ლაშქრის წმ. გიორგის იარაღის სათათბიროს სხდომის დადგენილების ასლს 13 ნოემბრიდან 1918 წ.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ბრძანების თანახმად სამხედრო უწყების მიმართ № 7100, წმ. გიორგის იარაღის სათათბირომ, თავის სხდომაზე ამა წლის 13 ნოემბრიდან, ინფანტერიის გენერალის გაბაშვილის თავმჯდომარეობით და წევრთა: 1-ლ ცხენოსან პოლკის უფროსის პოლკოვნიკ ქავჭავაძის, მე-5 ქვეითა პოლკის უფროსის პოლკ. ბალუევის, გენერალურ შტაბის განყოფილების საოპერაციო და სამობილიზაციო ნაწილის უფროსის, გენერალურ შტაბის პოლკოვნიკ ნაცვლიშვილის, მანგლისის რაზმის უფროსის თანაშემწის პოლკოვნიკ ქარცივაძის, მე-5 ქვეითა პოლკის პოდპოლკოვნიკ შარვაშიძის და პირველ ცხენოსან პოლკის როტმისტრ დადიანის თანდასწრებით, განიხილა რა სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილების სამეურნეო სექციის უფროსის პოლკოვნიკ ჯანდიერის წმ. გიორგის იარაღით დაჯილდოებაზედ წარდგენილობა, დაადგინა:

პოლკოვნიკი ჯანდიერი ცნობილ იქნას ღირსად დაჯილდოებისა წმ. გიორგის იარაღით, რადგან 17 ივნისს 1916 წ. ბრძოლაში კაპიტანი (ეხლა პოლკოვნიკი) ჯანდიერი, მარჯვენა მხარის უფროსობის დროს, გენერალ ამისიისკის რაზმში ყოფნისას, მე-5 კავკასიის მსროლელთა პოლკის ნ გუნდით და 4-ტყვიის საფრქვევით, მიიღო რა ბრძანება დაეკავა მძლავრათ გამაგრებული მწვერვალი ხელი-გოლ-თაბასი, მიუხედავათ ადგილზე დამოკიდებულ ძნელ პირობებისა, მოწინააღმდეგის განმანადგურებელი თოფისა და ტყვიის საფრქვევთა ცეცხლის ქვეშ, წინ მიუძღოლა თავის გუნდს, შეუტია თურქებს ხიშტებით და წაართვა მათ ორი რიგი სანგრებისა. ამის შემდეგ, როდესაც შეხვდნენ მე-3 რიგის სანგრებიდან საფლანგო ცეცხლით, ძლიერ სეტყვისებურის ხელით სასაროლის გრანატების სროლით, კაპიტან ჯანდიერის რაზმი შედრკა და საჩქაროთ დაიწყო უკან დახევა, რაც ნიშნავდა მთელ პოზიციის დანგრევას; მაგრამ კაპი-



ეროვნული
საგარეო
საზღაპო
საზღაპო

ტანმა ჯანდიერმა თოფებისა და ტყვიის საფრქვევთა ცეცხლის ქვეშ შეაჩერა უკან დაშვენი ნაწილები და თავის ვაჯაკობისა და თავგანწირვის მაგალითით აღაფრთოვანა თავისი რაზმი ახალ შეტევისათვის, რის შემდეგაც თურქები სამუდამოთ განდევნილნი იქმნენ გამაგრებულ მწვერვალისგან; დაკავებულ პოზიციაზე კაპიტანი ჯანდიერი გამაგრდა და ამის მისცა საშუალება მოეხდინათ გადაჯგუფება მთელ რაზმისა გადამწყვეტის შეტევისათვის: ეს შეტევა დამთავრდა მტრის მთელი პოზიციის დაკავებით და თურქების მიერ ხნისკალესაქენ ზზის დაკავების მოსალოდნელის ცდის ლიკვიდაციით: კაპიტან ჯანდიერის რაზმში იყო მოკლული 3 ოფიცერი და 31 ჯარის კაცი და დაჭრილი 5 ოფიცერი და 150 ჯარის კაცი.

ეს ღვაწლი შეეფარდება იმ მაგალითს, რომელიც აღნიშნულია წმ. გიორგის სტატუტის 112 მუხ. და მე-2 პუნქტ.

წმ. გიორგის იარაღის სათათბიროს თავმჯდომარე ინჟანტერიის გენერალი ვაბაშვილი, თათბირის წევრები: პოლკოვნიკები: ბალეუვი, ქარცივაძე, ჭავჭავაძე, ნაცვალიშვილი, შარვაშიძე და როტმისტრი დადიანი.

19 დეკემბერს 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 127

ვაცხადებ საყურადღებოთ საქართველოს ლაშქრის წმ. გიორგის იარაღის სათათბიროს სხდომის დადგენილების ასლს 13 ნოემბრიდან 1918 წ.

თანახმად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებისა სამხედრო უწყების მიმართ სამხედრო ხარისხოსანთა შესახებ №№ 67 და 100, წმ. გიორგის თათბირმა თავის სხდომაზე 13 ნოემბრიდან 1918 წ, ინჟანტერიის გენერალ ვაბაშვილის თავმჯდომარეობით და წევრთა: პირველ ცხენოსან პოლკის პოლკოვნიკ ჭავჭავაძის, მე-5 ქვეითა პოლკის უფროსის პოლკოვნიკ ბალეუვის, გენერალურ შტაბის განყოფილების საოპერაციო და სამობილიზაციო ნაწილის უფროსის შტაბის პოლკოვნიკ ნაცვალიშვილისა, მინგლისის რაზმის უფროსის თანაშემწის პოლკოვნიკ ქარცივაძისა, მე-5 ქვეითა პოლკის პოდპოლკ. შარვაშიძისა და პირველი ცხენოსან პოლკის როტმისტრ დადიანის თანადასწრებით, განიხილა რა სამხედრო სამინისტროს პიროვნულ შემადგენლობის განყოფილების უფროსის თანაშემწის კაპიტან უთნელოვის წმ. გიორგის იარაღით დაჯილდოვებაზე წარდგენილობა, დაადგინა:

ცნობილ იქმნას წმ. გიორგის იარაღით დაჯილდოვების ღირსად სამხედრო სამინისტროს პიროვნულ შემადგენლობის განყოფილების უფრო-

სი იმისთვის, რომ 6 კავკასიის მსროლოდ კის პოდპორ. (ახლა კაპიტანმა) თანაშემწე კაპიტანმა უთნელოვმა 29 ივნისს 1916 წ. თურქებთან ბრძოლაში ჩაიდაღვის მალლობის და ყულფის ხეობის გადაღმა, რაზმზე მიმატებულ ორი ტყვიის მფრქვეველის უფროსობის დროს, დაიკავა სრულიად გაშლილი პოზიცია ყოველ მხრიდან ცეცხლში გახვეული, გაუჩაღა თავის ტყვიის მფრქვეველიდან დამიზნებული გამანადგურებელი ცეცხლი თურქების მოიერიშე ხშირ კოლონებს, მოულოდნელი და მოხერხებული მოქმედებით აიძულა მოწინააღმდეგე უკან დაეხია და მით მისცა შეძლება თავის ქვეითა ჯარს დაეკავებინა წინამდებარე მნიშვნელოვანი მალლობები. მას შემდეგ რაც თურქებმა მიიღეს დახმარება, ისინი ხელ-ახლად გადავიდნენ შეტაკებაზე, პოდპორუჩიკმა უთნელოვმა არ მიაქცია ყურადღება მოწინააღმდეგის ძლიერ ცეცხლს და მოხერხებული და გაბედული მოქმედებით ჩარეკა მტერი სანგრებში. თურქების უფროსობამ დაინახა თავისი მარცხი, ზემეტესად პოდპორუჩიკ უთნელოვის უფროსის ქვეშ მყოფ ტყვიის მფრქვეველთა გამანადგურებელ ცეცხლის მოქმედების გამო, გაუჩაღა მის რაზმს საშინელი ცეცხლი ტყვიის მფრქვეველებიდან და თოფებიდან, მოინდომა მისი სრულიათ მოსპობა, და ამავე დროს წამოვიდნენ დიდი ძალებით გადამწყვეტი იერიშით ჩაი-დაღის მალლობისკენ. დაკარგა რა რამდენიმე წამის განმავლობაში მიზანში ამომღებელი ორივე მე-2 ნომრები და მსახურთა ნახევარი, პოდპორუჩიკი უთნელოვი სრულიად არ შეუშინდა სიკვდილის აშკარა საფრთხეს, გამოიჩინა გამბედაობის უშიშრობის და თავგანწირულობის ბრწყინვალე მაგალითი, მიუჯდა ტყვიის მფრქვეველს, თუმცა ამავე დროს უფროსობას და ხელმძღვანელობასაც განაგრძობდა, გაუჩაღა მშუსგრელი ცეცხლი თავდავიწყებით მოიერიშე მტერს და თავისი სწრაფი მოქმედებით, გულადობით, მოხერხებით და პირადი მაგალითით შესძლო ხალხის გამხნელება და მტრის უკან განდევნა, გაუწია დიდი დახმარება ჩვენს ნაწილებს სანგრების დაკავების დროს და მისცა საშუალება იქ მტკიცეთ გამაგრებისა.

დედანს ხელს აწერენ: წმ. გიორგის იარაღის სათათბიროს თავმჯდომარე ინჟანტერიის გენერალი ვაბაშვილი, თათბირის წევრნი: პოლკოვნიკი ჭავჭავაძე, ბალეუვი, ნაცვალიშვილი, ქარცივაძე, პოდპოლკოვნიკი შარვაშიძე, როტმისტრი დადიანი.

სამხედრო მინისტრის მაგიერი,
გენერალ-მაიორი მდივანი



დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 128

ინიშნება: გენერალ-მაიორის მაჭავარიანის კომისიის სინტენდანტო დაწესებულებათა რევიზიის მოსახდენათ პოლკოვნიკი აბრამოვი, სარგოთ დღეში 30 მან. მიცემით, ამ წლის 19 დეკემბრიდან.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

26 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 129

რესპუბლიკის ჯარების მიმართ № 98 ბრძანება ოფიცერთა ბატარიის შედგენის შესახებ გაუქმებული არს.

სამხედრო მინისტრის მაგიერ

გენერალ-მაიორი მდივანი.

24 დეკემბერს 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 130

ამის გამო, რომ, თანახმად საქართველოს პარლამენტის დადგენილებისა 6 დეკემბრიდან ამ წლისა, დაწესდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლი და მასთან ერთად გაუქმდა ტფილისის საკონტროლო პალატა და ამიერ კავკასიის რკინის გზების კანტროლი, წინადადებს ვაძლევე ჯარის ყველა ნაწილებს, სამხარველოებს და დაწესებულებებს, ამას იქით, შესაბამის შემთხვევებში მიმართონ ხოლმე სახელმწიფო კონტროლს.

კონტროლი იმყოფება ქ. ტფილისში გრიბოდოვის და ჭავჭავაძის კუთხეში, სახლი № 19, ხოლო სახელმწიფო კონტროლიორი და კონტროლის კანცელიარია გოლოვინის პროსპექტის და ჭავჭავაძის ქუჩის კუთხეში, სახლი № 24.

26 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 131

საჭიროების გამო დაუყოვნებლივ მოეწყოს ახალქალაქის მაზრაში ადგილობრივი ლაზარეთი 50 საწოლით.

26 დეკემბერს 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 132

§ 1.

მოეწყოს დაუყოვნებლივ პირველი ქვეითა დივიზიისათვის შემხვევი სასანიტარო რაზმი ახალციხის ფრონტისათვის.

§ 2.

მოეწყოს დაუყოვნებლივ მეორე ქვეითა დივიზიისათვის შემხვევი სასანიტარო რაზმი სანაინის ფრონტისათვის.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

26 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 133

ქვეყნული ინჟინერთა

დაბრუნებული მივლენილობიდან გენერალ-მაიორი გედევანიშვილი შეუდგეს სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილების უფროსის თანამდებობის ასრულებას. საოპერაცია სექციის უფროსი პოლკოვნიკი ზაქარიაძე კი შეუდგეს თავის თანამდებობის ასრულებას.

სამხედრო მინისტრის მაგიერი

გენერალ-მაიორი მდივანი.

28 დეკემბერს 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 134

გამოცდილობამ დაგვიმტკიცა, რომ მოხალისეთა ცალკე რაზმების შედგენა მეტად ფერხდება და შესაფერ ნაყოფს არ ვაძლევეს. გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, რომ ასეთ რაზმებისათვის მომარაგების მოწყობა, მათი მოძრაობა და გამოკვება იმდენათ მავნე პირობებში გვიხდება, რომ მოხალისეთა რაზმები ვერ ასრულებენ და ვერც შეასრულებენ საომარ დავალებას. აუარებელ ხარჯებს იწვევს ხსენებულ რაზმების დაარსება, სამაგიეროდ კი რადგანაც საკმაო გამოცდილი ოფიცრობა არა ჰყავთ მჭიდრო ორგანიზაცია არ არსებობს, ივინი ვერ იჩენენ საკმაო უნარს მოქმედობის დროს და ვერც აანაზღაურებენ მათთვის დახარჯულ აუარებელ ფულს.

ვუბრძანებ: შეჩერებულ იქნას მოხალისეთა რაზმების შედგენა; ისინი, რომელნიც ეხლა სდგებიან უნდა დაიშალონ და მათი როგორც ცალკე რაზმების ლიკვიდაცია უნდა მოხდეს.

ჯარისკაცი, ვინც სამხედრო ბეგრის მოვალეა დაუყოვნებლად უნდა გაიგზანონ რეგულიარულ ნაწილებში; მოხალისენიც უნდა შევიდნენ აგრეთვე რეგულიარულ ნაწილში. ნაწილის არჩევა მათს სურვილზეა დამოკიდებული.

№ 135

26 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

§ 1.

ვაცხადებ საგულისხმოდ, ვისაც ეს შეეხება, რომ თანახმად მთავრობის განკარგულებისა, ამ ომის დროს, სამხედრო სამინისტრო განყოფილებას უერთებ ქვემოდ ჩამოთვლილ საექიმო სასანიტარო ნაწილებს; 1) მედიკო-სანიტარულის, 2) სახალხო გვარდიისას, 3) წითელი ჯვრისას, 4) ქალაქთა კავშირისას, 5) რკინის გზისას, რომელთა შეერთებული სასანიტარო ორგანო გაუძღვება მთელ საექიმო-სასანიტარო საქმეს ქართულ ჯარში სამხედრო სამინისტრო განყოფილების უფროსის ხელმძღვანელობით-



სამხედრო სასანიტარო უფროსის ბრძანებები და განკარგულებანი სავალდებულოა ყველა ზემო აღნიშნული სასანიტარო ნაწილებისთვის, ისე როგორც სამხედრო სასანიტარო უწყებისთვის ომიანობის დროს.

§ 2.

შესდგეს სამხედრო-სასანიტარო საბჭო პირველ მუხლში ამოთვლილ სასანიტარო წარმომადგენლებისაგან, რომელიდანაც ცალკე გამოეყოს ბიურო 4 კაცისაგან შემდგარი სამხედრო სასანიტარო განყოფილების უფროსის თავჯდომარეობით. ბიუროში შედიან წევრები: 1) ქალაქის კავშირიდან, 2) წითელი ჯვრიდან, 3) სახალხო გვარდიიდან.

§ 3.

ახალციხის და ახალქალაქისთვის გაიხსნას ორი ადგილობრივი ლაზათეთი 50 საწოლით თვითეული შტატებით.

§ 4.

შესდგეს სანაინის და ახალქალაქის ფრონტებისათვის „დაჭრილთა შემხვევი რაზმები“ დადებული შტატებით, პირველ და მეორე დივიზიასთან მიჩემებით.

§ 5.

დაინიშნოს სანაინის ფრონტებისთვის № 1 სასანიტარო მატარებელი შესაფერი შტატით.

§ 6.

დაინიშნოს ახალქალაქის ფრონტზე № 2 სასანიტარო მატარებელი შესაფერი შტატით.

§ 7.

ტფილისის სამხედრო გოსპიტალი გაფართოვდეს 1160 საწოლით და მასთან შესაფერის მოსამსახურეთა შტატით.

§ 8.

დროებით გადიდებულ იქნეს სასანიტარო განყოფილებაში შტატი ერთი ექიმით და ორი მწერლით.

§ 9.

დროებით სასანიტარო განყოფილებასთან შესდგეს ხუთი ექიმისგან „რეზერვი“

§ 10.

შესდგეს რვა ავტომობილისაგან სანიტარული რაზმი ფრონტზე დაჭრილთა და ავადმყოფთა გადმოსაზიდავათ, რისთვისაც მოხდეს სათანადო განკარგულება. გადაეცეს სანიტარული ავტომობილები სასანიტარო განყოფილებას.

§ 11.

ამ ომიანობის დროს ჯამაგირად ვუნიშნავ:
ფრონტზე უფროსს ფერშალს . . . 600 მან.
უმცროსს . . . 550 მან.
როტის ფერშალს . . . 500 მან.

ზურგში	უფროსს ფერშალს	600 მან.
	უმცროსს	550 მან.
	როტის	500 მან.
სათნო დებს	ფრონტზე	400 მან.
	ზურგში	300 მან.
სანიტარებს:	ფრონტზე	250 მან.
	ზურგში	

ჯამაგირს გარდა მიეცეს ყველას ჯარის კაცთა ულუფა.

27 დეკემბერს 1918 წ. ქ. ტფილისი № 136

ტფილისის გარნიზონის უფროსის სამმართველოში მყოფი ვახტანგ აბაშიძე გადაიყვანება ხსენებულ სამმართველოდან სამხედრო სამინისტროს მოდარაჯე ასეულში.

30 დეკემბერს 1918 წ. ქ. ტფილისი. № 137

ჯარისკაცი სამხედროს სამინისტროს სამეურნეო რაზმისა ლევან წერეთელი გადაყვანილ იქნას სამეურნეო რაზმიდან სამუდამო რადიო—სადგურების განცალკევებულ გუნდში.

სამხედრო მინისტრის მაგიერ, გენერალ — მაიორი მდივანი.

არა ოფიციალური განყოფილება

ტფილისი 5 იანვარი.

ომის დასრულების შემდეგ დასრულებულია ზოლიტიკაში განხორციელებული სამხედრო მომსახურების სამსახური. მისი დასრულების შემდეგ დასრულებულია ზოლიტიკაში განხორციელებული სამხედრო მომსახურების სამსახური.

თავდასრულებისათვის მოუძნადებელი საქართველო უიცხლავ საბრძოლველ დროში ქვემ დაირჩება, რომ შესაფერი ზასუნი გაეცა მომხდურ ვერაგ ძტრისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის დაუძინებელი ძტერი უკნიდან მოგვეპარა.

საქართველოს მხედრობას მისთვის ზურგი არ უჩვენებია, შეუბრუნდა და ისარს ისარი დაუნირდაპირა.

წინდაწინვე მომხადებელი, მოძარვით მოსული ძტერი ლამობდა ჩვენს განადგურებას. საქართველოს ჯარმა თვით იგი განადგურა. გამარჯვება, ბრწინვალე გამარჯვება ხვდა საქართველოს ჯარს და სახალხო გვარდიას: ეგატყრინენველდთან, მუღავერთან, ბო-



ლის-საჩინთან. გაიქცა ქურდულათ სომხეთის ჯარი. სასტიკათ დამარცხდა იგი.

თავისუფლებისა და სამშობლოს დაცვის იარაღმა გაიმარჯვა.

საქართველოს თვითმყოფლობისა და დემოკრატიულობის იდეა შარავანდით შეიმოსა. სიმართლისა და სამართალის დემოკრატიულობა ნებას იღებსასწაულა.

მაგრამ სამხედრო მოქმედება შესწავლა. ძველმოსილი, რანდული, გმირული სულით აღჭურვილი საქართველოს ჯარი შეჩერდა...

ბრძოლის ველზე, პოლიტიკის ასპარეზზე დამარცხდნ სომხეთის შესვეურნი. გარეშე ძალთა, მოკავშირეთა სახელმწიფოების წარმომადგენელთან შეთანხმებით შევსწავიტეთ სამხედრო მოქმედება და ზირობები წაუგვეთ სომხეთის მთავრობას. დამარცხებულმა სომხეთმა მიიღო იგი...

ეს გამარჯვება მთელი ხალხის, მთელი დემოკრატიის გამარჯვებაა. მან ერთჯერ

საუბარი ჯარის-პაცთან.

IV.

შორს ჩვენგან არის საუცხოვო ქვეყანა, რომელსაც საფრანგეთი ეწოდება.

ვინ არ იცნობს საფრანგეთს!

პირველათ იქ აფრიალდა წითელი დროშა რევოლიუციისა და თავისუფლებისა.

და ეს დროშა ააფრიალა თვითონ ხალხმა.

აი იმისთანა ხალხმა, მშრომელმა ხალხმა, როგორსაც შენ ეკუთვნი, ჩემო ჯარისკაცო!

აბა დაეკითხე სულ უკანასკნელ ფრანგს: ვინა ხარ შენო.

— მე ვარ თავისუფალი საფრანგეთის შეილიო, გიპასუხებს ის, — ჩემი სამშობლო საფრანგეთიაო.

ის ამბობს, როდესაც თავის საფრანგეთს ახსენებს.

ამბობს იმიტომ, რომ სამშობლო ყოველი ადამიანისათვის, ვისაც კი ადამიანობა აქვს, სიამაყეს შეადგენს.

შენ უკვე დაამტკიცე, ჩემო ჯარისკაცო, რომ შენთვისაც სამშობლო სიამაყეს წარმოადგენს.

შენს გმირობას ბრძოლის ველზე ჩვენი თავისუფლების დასაცავათ აღტაცებაში მოჰყავს ყველა.

კიდევ დაამტკიცა, ერთჯერ კიდევ ჩვენი მთელი ქვეყნიერობას დახანჯვა, იცავს თავის დემოკრატიულობას, იცავს დემოკრატიულ რესპუბლიკას და ამ ბრძოლისთვის მთელი ხალხი, მისი ზირმძო ჯარი და სახალხო გვარდია, მთელი ერთი, ვით ერთი ადამიანი ერთი გრძობით და ნებით გამსჭვალული, მხათ არის და უკანასკნელ სისხლის წვეთსაც არ დაიშურებს და შესწორავს მას საქართველოს რესპუბლიკის განმტკიცებას და მის კეთილდღეობას.

პვირეული ვიგოხილვა.

გასული კვირა საქართველოსათვის მეტათ მრავალფეროვანი და მრავალ მნიშვნელოვანი იყო, როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკის სფეროში.

სომხეთთან ომმა მეტათ ფართო ხასიათი მიიღო დემოკრატიის შეგნებაში, რადგან მთელმა დემოკრატიამ აშკარათ და ცხადათ იგრძნო ის დიდი საფრთხე, რომელიც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მოელოდა, ამიტომაც ფეხზე წამოდგა და ფრონტისაკენ გაეშურა მთელი მოძრავი ცოცხალი ძალა სამშობლოს დასაცავად. ძალთა მობილიზაცია, როგორც ფიზიკური ისე მატერიალურ — მოლარული ჩქარის ტემპით ხდებოდა და არაჩვეულებრივ, ჯერ ჩვენში არნახულ მოვლენას წარმოადგენდა. ამ მოვლენამ

ქურდულათ შემპარავ, ძმათა სისხლით გაუმაძლარ მტერს ეგონა, რომ შენ სამშობლოც დაივიწყე, ძველი რაინდობაც, ნამუხიც და სივარჯაცაც.

სომხის მდიდრებისა და მღვდლების მთავრობას ეგონა, რომ შენ ქუდის მაგიერათ ლეჩაქი გეხურა თავზედ.

მაგრამ შენმა მახვილმა და ბრძოლის ყიყინამ მტერს ფერი უცვალა.

მტერმა იგრძნო, რომ შენ სამშობლო გიყვარს და მისთვის თავის გაწირვისა არ გეშინია.

მტერმა გააღვიძა შენში ძველებური მამაპაპური სული ვაჟკაცობისა და რაინდობისა და უკვე იგემა, თუ როგორ ჰმუსრავს შენი მადლიანი მარჯვენა სამშობლოსა და თავისუფლების მტერს, ორგულსა და მოღალატეს.

გწამდეს, ჩემო ჯარისკაცო, რომ დღეიდან შენ ხარ სიამაყე მთელი სამშობლოსი, მთელი ქართველი ერისა. შენ ამბობ სამშობლოთი, მაგრამ სამშობლოც ამბობს შენით. შენ თავი მოგწონს სამშობლოთი, მაგრამ სამშობლოსაც თავი მოსწონს შენით.

შენ ხომ გიყვარს შენი სოფელი, შენი სახლკარი, შენი კარ-მიდამო, შენი ყანა, შენი ვენახი? რაღა თქმა უნდა, გიყვარს!



აშკარად გვიჩვენა თუ საქართველოს ხალხი რაოდენ შეგნებულ მომზადებულია განვითარებულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებისათვის და ამას გვიანაშკარაებს, ცხად-პყფს ის აუცილობელი და მდალადებული ფაქტი, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივმა ორგანიზაციამ დაუბრკოლებრივ და უმტკინელოთ შესძლო ომის წარმოების საქმის მოგვარება. ფრონტი და ზურგმა ეს აშკარათ დაამტკიცა დაასაბუთა. ფრონტი გაიშალა. თავის ძალის ჩვენება და ძლევამოსილი მსვლელობა იწყო, მუხანათურათ და მზაკრულოთ თავზე დასხმული მტერი მრავალ ადგილას დაამარცხა უკუაქცია და დაედევნა. დამარცხებული სომეხთა ჯარი გარბოდა და ჩვენი მას მისდევდა, სტეხდა საქართველოს წინააღმდეგ მომართულ მახვილს.

მაგრამ აქ იჩინა თავი ერთმა გარემოებამ, რომელმაც მეტათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სომხეთ-საქართველოს დამოკიდებულებაში. ჩვენ არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ სომხეთ-საქართველოს შორის კონფლიქტი მაშინ გაიზარდა და სამხედრო შეტაკებათ მაშინ იქცა, როდესაც ჩვენში შემოდიოდა უცხო ძალა, მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლობა, რომელთაც თავის ლოზუნგათ წამოყენებული ქონდათ და აქეთ წესრიგის და მშვიდობიანობის დამყარება. მოსალოდნელი იყო, რომ ეს მესამე მხარე, სომხეთ-საქართველოს შორის ამტყდარ კონფლიქტის დროს შეამავალის როლში მაინც გამოვიდოდა. და ეს ასეც იყო. ჩვენ მთავრობას და მათ შორის მოხდა შეთანხმება შემდეგი:

ინგლისელების, ფრანგების, ქართველების და სომხების წარმომადგენლებისაგან შემდგარი შერეული კომისია, შეძლებისდაგვარათ საქაროდ, უნდა გაეშვავროს ფრონტზე, შემდეგი შეთანხმების პირობების ცხოვრებაში გასატარებლათ:

ყოველივე ეს ნაწილია შენი სამშობლოსი. აკვანი შენის სიხარულისა, სიყვარულისა, ოფლისა, იმედებისა შენს სამშობლოში, და ამიტომ სამშობლო საყვარელია, როგორც ტკბილი დედა.

სამშობლო, დედის ძეძუი. არ გაიცვლების სხვაზედა. ორთავე ერთნაირათ ტკბილია, ჩემო ჯარისკაცო!

ვისაც მშობელი დედა უყვარს, მას სამშობლოც უყვარს.

და იცოდე, შხამათ შეერგება დედის ტკბილი ძეძუ მას, ვინც გაქირვებაში სამშობლოს არ გა მოადგება.

სამშობლო, ჩემო ძვირფასო, სხვებსაცა აქეთ; ყველას თავისი სამშობლო უყვარს.

ეს სიყვარული დიდი გრძნობაა და ჩვენ მას ყველგან პატივისცემით უნდა მოგვეყრათ.

ვისაც თავისი სამშობლო უყვარს, ის სხვის სამშობლოსაც აფასებს, ის არ მოინდომებს სხვისი სამშობლოს დაღუპვას.

არ უნდა გასთელო სხვისი სამშობლო, მაგრამ არც სხვას უნდა შეარჩინო და აპატიო შენი სამშობლოს გათელვა

შენ განა ოდეს მე გაგივლია გულში სხვისი

კომისია განსაზღვრავს გარნიზონების შემადგენლობას, რომელიც უნდა დასტოვონ ქართველებმა ჩრდილოეთში და სომხებმა სამხრეთით ბორჩალოს მაზრისა და ქართველებმა აგრეთვე ახალქალაქის მაზრაში.

ქართველების ჯარი იდგომილება იმ ხაზზე, რომელზედაც ეხლა იმყოფება, სომხეთის ჯარი იხვეს ოსმალეთის დისინ-ჯეღალ-ოღლის ხაზამდის.

ბრიტანეთის პიკეტები დადგება რკინის გზაზე ქართველებისა და სომხების ჯარებს შუა ადგილზე, სადაც ადმინისტრაცია იქნება შერეული.

ქართველების ადმინისტრაციას ახალ-ქალაქის მაზრისას თვალყურს ადევნებს მოკავშირეთა კომისია, რომელშიდაც შედიან ადგილობრივ მცხოვრებლების სომხების და მუსულმანების წარმომადგენენი.

საქართველოს და სომხეთის სახელმწიფოების წარმომადგენენი ახლო მომავალში გაიგზავნებიან ევროპაში, სადაც დიდ სახელმწიფოების მიერ გადაწყვეტილ იქნება ყოველი საკითხი საზღვრების შესახებ.

ხელს აწვრენ: რაიკფორტი, შარდინიე და ქორდანია“. ასეთი წინადადება მიეცა სომხეთს და ისიც დასთანხდა.

ამგვარათ სამხედრო მოქმედება შეწყდა და იმ პირობებში, რომელშიც იგი ხდებოდა, უნდა შემწყდარიყო. ჩვენ უნდა მოგვესმინა მოკავშირეთა სახელმწიფოების წარმომადგენლებისათვის, რომ ამით საქართველოს უზრუნველყოფის სამარადისო პოლიტიკა გაგვემტკიცებია. ჩვენ ვიცით ბრძოლის წარმოება, მაგრამ ვიცით მისი შეჩერებაც, როდესაც ამას გარდუვალი პირობები მოითხოვს, როდესაც ამ პირობების შედგათ საუკეთესო მერმისი ეშლება ჩვენს ქვეყანას. იმ დროს, როდესაც ძლევამოსილი და ბრწყინვალეთ გამარ-

სამშობლოს დაღუპვა? არასოდეს, ამგვარ ცილს ვერავინ დაგწამებს, ჩემო ჯარისკაცო..

შენ მუდამ ძმა და მეგობარი აყავი ყველასი.

მაგრამ მეტათ მდაბაღმა, მეტათ უბატიონსო მტერმა მოინდომა შენი სამშობლოს დაღუპვა

როდესაც შენ ძმობა ერთობას ეფიცებოდი, ის ღიმილით თავს გიკრავდა, თურმე მახვილს კი ამზადებდა.

გილალატა?

მახვილის მოქნევა როგორ უნდა, შენ ასწავლი მოლალატეს.

შენი რისხვა უკვე გუგუნებს. შენი გულიდან ამომსკდარი ცეცხლი ჰმუსრავს ყველას, ვინც გზაზე დაგინვდება სამშობლოსა და თავისუფლების დაცვის დროს.

თუ ფრანგს შეუძლია, ამაყათ ილაპარაკოს თავისთავზე და სამშობლოზე, შენც შეგიძლია, ჩემო ჯარისკაცო, ამაყათ უთხრა ყველას—მტერსაც მოყვარესაც:

—მე ქართველი ვარ. ჩემი სამშობლო თავისუფალი საქართველოა. თუ საქართველო დღემდე იყო სხვისი მონა, მეფის მონა, დღეს ის თავისუფალი ქვეყანაა.

თუ დღემდე საქართველოს განაგებდენ მეფე-

ჯვებული ჩვენი ჯარი მტერს მისდევდა და ისწრაფოდა სამუდამოთ გაენადგურებია იგი, იმ დროს სწყდება სამხედრო-მოქმედება, მაგრამ არა ჩვენდა საზარალოთ, არა ჩვენდა სამარცხენოთ. ამ ბრძოლიდან საქართველო გამოვიდა სავსებით გამარჯვებული, ეს ბრძოლა საქართველოს დემოკრატიამ სავსებით მოიგო და ამ მოგებას განამტკიცებს ის საერთაშორისო პირობა, რომელიც ჩვენ გამარჯვებას გვიქადის.

* *

პატარა და ისიც, ახლათ შექმნილ სახელმწიფოსათვის დიდი სახელმწიფოების მიერ მისი დამოუკიდებლობის აღიარება მეტისმეტათ მნიშვნელოვანი საქმეა. გერმანიამ, რუსეთმა ფორმალურათაც აღიარეს ჩვენი დამოუკიდებლობა; დანიამ, შვეციამ, შვეიცარიამ ფაქტიურათ აღიარა ეს ჩვენი დამოუკიდებლობა. კოალიციის სახელმწიფოები საერთოდ გვეჭობდენ ჩვენ, მაგრამ ინგლის-საფრანგეთ-ამერიკა-იტალია აღმაცურათ გვიყურებდა და არც გვიხსენებდა. ამ მხრივ მდგომარეობა უმჯობესდება და კარგ რამეს გვიქადის. მოველით, რომ მოკავშირეთა სახელმწიფოანი აშკარათ აღიარებენ ჩვენ დამოუკიდებლობას და გვიცნობენ, როგორც ნამდვილ, სუვერენულ სახელმწიფოს, და ეს მეტისმეტათ ღირს შესამჩნევი და ღირს მნიშვნელოვანი ფაქტი ქნება ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში,

ამის ნიშნები არის: ზურ. ავალიშვილისაგან ლონდონიდან ტფილისში პოლკოვნიკმა ჯორდანმა მიიღო შემდეგი დეპეშა: „გთხოვთ გადასცეთ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრ-პრეზიდენტს ბატონ ჟორდანის ქვემოთ მოყვანილი ცნობა, გადმოცემული ლონდონიდან ბრიტანიის სამხედრო-სამინისტროს მიერ: „მიგვიღეს კეთილგანწყობილათ

დიდი იმედია ჩვენი დამოუკიდებლობის საბოლოო აღიარებისა და მომავალში ამის ფორმალურათ დადასტურების ხმები რუსეთის გაერთიანების შესახებ საქართველოს ხელში აღიარება, ვინაიდან საბუთები საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისა — არსებითად მისაღებია“. ამასვე აღდასტურებს მეორე დეპეშაც. ამგვარათ, საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა აღწევს თავის მიზანს და ხდება საერთაშორისო ოჯახის სწორუფლებოვან წევრათ.

* *

საერთაშორისოთ ჩვენი სახელმწიფოებრივი სახის გამოარკვევა და განმტკიცება ჩვენს შინაურ მდგომარეობასაც მეტათ განამტკიცებს და შეძლებას მოგვეცეს საქართველოს დემოკრატიის ბედნიერების საკუთხეველზე ღვიოდეს მულმივი ჩაუქრობელი, მანათებელ — განმანათლებელი ცეცხლი. ამ ცეცხლს საქართველოს მთავრობა დღესაც უკეთებს, აღვივებს, არ გაჩერებულა არც ერთი წამი, არც ვრთი წუთი. შთელი დრო აღმშენებლობითი მუშაობას უნდება და შემოქმედებითი მუშაობის ნიშანის ქვეშ მიდის. ამ მხრივ შესამჩნევი საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევისათვის დაჩქარებული მუშაობა. თებერვლის 14, 15, 16 მოხდება დამფუძნებელი კრების არჩევნები. შეიკრიბება საქართველოს დამფუძნებელი კრება. ნათელიქნება მთელი ხალხის ნება-სურვილი და ჩვენ გვწამს, რომ მით იგი განატკიცებს; საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ვ. მოძველი.

საგან დანიშნული მმართველები, დღეს საქართველოს განაგებს თავისუფალი ქართველი ერი და მისი ნებით, მისი სურვილით არჩეული მთავრობა.

თუ დღემდე საქართველოში იყვნენ წოდებები, იყო უთანასწორობა, დღეს საქართველოში აღარც თავადია, აღარც გლეხი — ყველა თანასწორია.

განა არარატის მთავრობამ მოუწყო ასე ცხოვრება თავის ხალხს? არა! მან მხოლოდ ძმათა სისხლის ღვრა მოაწყო.

დღემდი ჩვენი მშრომელი ხალხი მონა მორჩილი იყო ყველასი.

დღეიდან ის არის ქვეყნის სრული ბატონპატრონი და გამგე.

მასა ჰყავს ისეთი მთავრობა, რომელიც მუდამ მშრომელ ხალხთან იყო ჭირსა და ლხინში.

მაგრამ ჩვენს მშრომელ ხალხს დღემდე მხოლოდ ჭირი ჰქონდა.

მისი ლხინი აწი იწყება.

სწორეთ ამისი ეშინიათ მგლებსა და აფთრებს.

ჩვენი მშრომელი ხალხის ბედნიერება ჩვენს მეზობლებშიაც თვალებს აუხელს მშრომელ ხალხს

და აი სწორეთ ეს უკარგავს მოსვენებას ხალხის მტრებსა და მისი ოფლით გასუქებულებს.

არარატის ბურჟუები და მღვდლები სწორეთ ამიტომ გვესხმიან თავს, რომ მოსპონ ჩვენი მშრომელი ხალხის ბატონობა და ისევ თვითონ იბატონონ და სწოვონ ყველას სისხლი.

მაგრამ მათი აღსასრულის ზარმა უკვე დარეკა.

და იცი, ეინ ჩამორეკა?

შენ, ჩემო ჯარისკაცო!

შენი სამშობლო ღირსია სიყვარულისა, შენი სამშობლო ღირსია, რომ მისი დაცვის გულისათვის მეხათ მოველინო ყველა იმის მტერს და შეუბრალებლათ გაანიაგო.

ამით შენ იცავ მარტო სამშობლოს კი არა, — მშრომელ ხალხს, რომელსაც შენ ეკუთვნი

ამით შენ ანთავისუფლებ სომხის მშრომელ ხალხსაც, რომელიც დღეს ბურჟუებისა და მღვდლების მონა და მოსამსახურეა.

კაცი ჯაბანი რითა სჯობს.

დიაცსა ქსლისა მბეჭველსა!

სჯობს სახელისა მოხვეჭა,

ყოვლისა მოსახვეჭელსა!

დიახაც რომ სჯობს!

ჯარში მეცადინეობის შესახებ

3. ჯარში მეცადინეობის ხელის შემშლელი გავლენათა მოსპობა.

თეორეტიულათ და პრაქტიკულათ გამოცდილი უფრო სი საუკეთესო საშვალეება მეცადინეობის საქმეში დაბრკოლებათა გადასალახათ. მაგრამ ასეთი უფროსების მონახვა ჯარის ყველა ნაწილისათვის ხშირათ მიუღწეველია. ამ შემთხვევაში უნდა მივედოთ იმ ოფიცერთა კეთილ-სინდისიერებას, რომელთაც გასაწვრთნელათ ჰყავს ჩაბარებული ჯარი და სამხედრო საქმეში, თუ კი სურვილი და ნებაა, ძნელი არაა დაბრკოლებათა ძლევა და თვითეული მათგანი შეიძლება კარგი ინსტრუქტორი გამოვიდეს, მხოლოდ სურვილია საქმე. კეთილ-სინდისიერათ მომუშავე ოფიცერი უფრო გამომცდილ უფროსების ხელმძღვანელობით ყოველთვის მოერევა დაეაღებულ საქმეს. მაშასადამე, ჯარში ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნა ხდება სანტიკი გარჩევით, არა უფროსობით და მით უმეტეს პროტექციით და სხვა, არამედ სამართლიან ატესტაციის მიხედვით, რომელშიც განსაკუთრებით უნდა ფასდებოდეს მისი დადებითი თვისებები, საქმისადმი კეთილ-სინდისიერი დამოკიდებულება. იმ პირებს კი, რომელნიც ინიშნებიან უმაღლეს თანამდებობაზე, უნდა მოეთხოვოთ ფართო ან სპეციალური განათლება, სამწკრივო და საომარი გამოცდილება და ტალანტიც, ურომლისოთაც ვერც ერთი საქმე ვერ იხეირებს.

ამგვარ უმაღლეს უფროსთა ხელმძღვანელობით, მათი ხელქვეითნი, საქმესთან სინდისიერათ მოწყობის დროს, დაასრულებენ ჯარის მომზადების საქმეს სავსებით.

ჩვენ შეგვიძლია მივუთითოთ კიდევ პატარა მცირე

სახელი არ იკარგება, სახელი არა ჰქრება, სახელი არა კვდება.

ქება და ხსენებაც მხოლოდ მათია, ვისაც ამ ქვეყნათ სახელი დარჩენია.

რითი იხსენიება ადამიანი? ნამუსით, კეთილ შობილებით, რაინდობით. აბა ერთი დამისახელე ვის დარჩენია კარგი სახელი, ვინ უქიათ ლაზრობისათვის, მუხანათობისათვის, ვერაგობისა და მოლალატეობისათვის!

არავინ!
ლაჩარსა და მოლალატეს პირში აფურთხებს ყველა.

დღეს დაგიდგა ყამი, ჯარისკაცო, როდესაც შენი სახელი უნდა უკვდავ ჰყო.

ჩვენი შვილები და შვილისშვილები შენს სიმამაცეს, შენს ვაჟკაცობასა და თავგანწირვას სამშობლოსა და თავისუფლების გულისათვის ერთი მეორეს უნდა გადასცემდნ და შენს უკვდავ სახელს მოწიწებით იხსენიებდნ.

შვილებს საზღაპროთ ექნებათ ჩვენი ბრძოლა და ომები!

შენი ბრძოლა ჩვენში საზღაპროთ დარჩება, შენი სახელი წაუშლელი ინება!

შენს გულში რაინდობასთან ერთათ სიყვარუ-

დაბრკოლებებზე და მათ წინააღმდეგ სასარგებლო საშვალეებზე.

საქმეში:
ა. მეცადინეობის ნუსხაში ზოგიერთ საგანზე საათების რიცხვის შემცირება, რადგან მათი შესწავლა შეიძლება გზა და გზა, სხვა საგნების სასარგებლოთ, რომელიც მოითხოვს მეტს დროს. ასე მაგალითად, გაწვრთნა დგომში, მიბრუნ- მობრუნებაში, სიარულში ახალ ჯარისკაცებისათვის მთელ კურსის გავლის შემდეგ, შეიძლება ხდებოდეს დილაზე გაშინჯვის დროს, სხვა მეცადინეობა წყობის დროს (რამოდენიმე წუთით), სხვა დანაწილებისა, ყარაულში წასვლის და მოსვლის დროს, და პირიქით ამგვარ მეცადინეობის განყოფილებას გვერდი არ უნდა აეხვიოს, რადგან მას აქვს სადისციპლინო მნიშვნელობა, და დისციპლინა კი ჯარის ძლიერების ერთი ცემენტია. ეს მეცადინეობა ჯარს მხედრულ გარეგან სახეს აძლევს და სამშობლოს დამცველის ღირსების შეგნებას სწევს. ასეთივე გამამხნეველი მნიშვნელობა აქვს ცერემონიულ მარშს, რომლისთვისაც ცალკე დრო კი არ უნდა დაინიშნოს, არამედ რომლითაც უნდა სრულდებოდეს სხვა მეცადინეობა ლამაზათ და მუსიკით.

ბ. უნდა მოვერიდოთ კუდებს და რიგებს სხვა და სხვა ცალკებრივ და ჯგუფობრივ მეცადინეობის დროს, სადაც ჯერ ერთი ვარჯიშობს, სხვები მოცდით იტანჯებიან, ხშირათ ყინვაში ან სიცხეში. ვარჯიშობა ისე უნდა მოეწყოს, რომ დრო არავის დაეკარგოს, ამისათვის უნდა შეიძინონ საქმე სახელმძღვანელო წიგნები საკმარისათ, და საუკეთესო პირები თანაშემწეებათ უნდა გამოიყენონ. უკეთესია მეტი დრო დაკარგონ კარგ თანაშემწეების გასაწვრთნელათ, ვინემ თვითონ რაზმს ასწავლონ და გამოსცადონ იგი. ამითი მიდ-

ლის ძლიერი ნაკადულიც ჩქეფს. შენ გინდა დაამყარო ძმობა, ერთობა და თანასწორობა ჩვენში.

მაგრამ ამიერიდან იცოდეს ყველამ, რომ შენს გულში ჰბობოქრობს ძლიერი სიძულვილიც მათდამი, ვინც ძმობას, ერთობას, თანასწორობას და თავისუფლებას ძირს უთხრის.

თავისუფალი სამშობლოს სწორ უბოვარო დარაჯო, მშრომელი ხალხის სიამაყე—ჩვენო ჯარისკაცო! გასწი წინ! დაჰკა, გააპე მტრისა და მუხანათის შავი გული!

თქვენთა მტერთა და ორგულოთა დაჰფრეწდით, დაცასჭრილითა.

მტერმა უკვე პირი იბრუნა. შენი გულის ცეცხლს, სამშობლოსა და თავისუფლების სიყვარულით აგიზგიზებულს მან ვეღარ გაუძლო და გარბის.

ერთი კიდევ დასჭექე შენებურათ და სამუდამოთ მოახრევენე მას ქედი თავისუფლების დროშის წინაშე.

ვაშა ჩვენს რაინდ ჯარისკაცს!
ვაშა ჩვენს უკვდავსა და ძლიერამოსილ ჯარს!

იგ. გომართელი.



წვეული იქნება მაცადინებობის ინტენსივობა მისი დროის შემცირებით, ყურადღების დაუკარგველობით და მოსწავლეობა სიმხნევით.

გ. სწავლა უნდა ხდებოდეს მაგალითებით, და არ მოთხოვნილებით, რისთვისაც ხელმძღვანელ მოსწავლეებმა კაგათ უნდა იცოდნენ ის საგანი, რომელსაც ასწავლიან. ელამ კარგათ იცის, რომ უბრალო პირი ცუდათ ითებს სიტყვიერებას და კარგათ კი პრაქტიკული გზით. არ ძვირდება მოვსთხოვით მას, რომ იგი მოყვეს, მოგვითხროს მან არამედ უნდა ვააკეთოს, და რაც არ შეიძლება გაკეთდეს, მაგრამ რომლის ცოდნა საჭიროა, ყოველ დღე შეიძლება გამოიცადოს არა თუთიყუშური ზეპირის სწავლით, რასაკვირველია.

დ. ნუსხაში აღნიშნული მაცადინებობა განსაზღვრულ დროში უნდა ხდებოდეს. ამისთვის საჭიროა პირველათ ყოველისა მორიგეობის გათანაბრება და რიგში დანიშნულთა შორის სასტიკათ მორიგეობის დაცვა; რიგის გარეთ დარჩენილ ხალხთან, როგორც მცირეც არ უნდა იყოს იგი, მაცადინებობა უნდა სწარმოებდეს; იგივე მაცადინებობა მეორე დღეს უნდა იყოს გამართული გუშინ წასულლებთან და ასე, მანამ ყველა არ გაივლის საჭირო გაცვეთილს. თუ მეცადინებობისათვის მეტი ხალხია საჭირო და ეს მეცადინებობა უსათუოდ განსაზღვრულ დროში უნდა დასრულდეს, ამ გარემოებიდან შეიძლება გამოსვლა, თუ ერთ მაცადინებობას, რომელშიაც კარგათ გაწვრთნილნი არიან, შევცვლით სხვა მაცადინებობით, რომელშიაც ჩამორჩენილნი არიან. ხშირათაა საშვალება, რომ ასეთ ცვლას არ მივმართოთ.

ე. მაცადინებობათა პერიოდული ნუსხი ისე უნდა შესდგეს, რომ სხვა და სხვა მიზეზების გამო ჩამორჩენილი განყოფილება უნდა შეიცვალოს და ადგილი უნდა დაუთმოს იმ განყოფილებას, რომელიც კარგათ წავიდა.

ვ. კარგი ჰავა გამოყენებულ უნდა იქნას ზამთარშიაც. თუ შესაძლებელია უნდა ხდებოდეს საზაფხულო საველე ვარჯიშობა ძველ ჯარისკაცებთან, რომ ამით ყოველ წუთისთვის მზათ იყოს სამხედრო მომზადება ამ ნაწილისა, რასაც ვალწევთ უმთავრესათ ზაფხულში მეცადინებობის დროს.

ზ. მომავალი მასწავლებლის ან ხელმძღვანელის წინასწარი მომზადება უნდა სრულდებოდეს მის დანიშნამდე. თვითუფროსი ამას თვალყურს უნდა ადევნებდეს. გამოცდა უნდა ხდებოდეს განსაკუთრებული პოვრამით.

გამოცდილი ხელმძღვანელი, საერთოდ, სხვა გზებსაც გამოიხატავს, რომ გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლება ჯარის მეცადინებობის საქმეში.

ა. ბ.

საქართველოს სამხედრო ისტორიიდან

ბ. ი. გე-ვა-ლა (ი. გედევანიშვილი) 1915 წ. გამოაქვეყნა წიგნი „სამხედრო ხელოვნება საქართველოში“, რომელიც შეიცავს ჩვენი სამხედრო ისტორიის ნიმუშებს. დღეს, როცა საქართველოს, დიდი ხნის ტყვეობის. შემდეგ, განთავისუფლებულა, დამოუკიდებელია და იძულებულა თავდასაცავათ სამხედრო მოქმედება აწარმოოს სხვა და სხვა ფრონტზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა საქართველოს სამხედრო ისტორიის მაგალითების შესწავლას და ისტორიული სტრატეგიული საზღვრების გათვალისწინების საკითხს. ამიტომ საჭიროთ მიგვაჩნია ი. გედევანიშვილის შემოახსენებული წიგნიდან ციტატადენი შემოკლებით, მოვიყვანოთ მრავალი ჩვენი მკითხველებისთვის საყურადღებო და საინტერესო ადგილი.

*(ი. გე-ვა-ლის წიგნიდან „სამხედრო ხელოვნება საქართველოში“.

მეთერთმეტე და მეთოხმეტე საუკუნოები იყო ის ხანა, როდესაც საქართველოს აყვავებამ და გაძლიერებამ უმწვერვალესობამდე მიადწია. ამავე დროს დასავლეთ ევროპაში ფეოდალური წესწყობილება განმტკიცდა, რომის პაპის გავლენა მეტად გაძლიერდა და პაპი თითქმის მბრძანებელი იყო თვით ხემწიფეებისა. დაიწყო ჯვაროსნობის ომები. რაინდობამ მაგრათ ფენი მოიკიდა და სამაგიეროდ სახედრო ხელოვნება, როგორც ხელოვნება დაეცა. რაინდს არც სამშობლოსი, არც ერისა არა სწამდარა, მხოლოდ სახელის მოხვეჭა, ქალისადმი უსაზღვრო თავყანისცემა და ვითომდა ეკლესიისა და სარწმუნოების დაცვა. სამხედრო საქმეში, ასე ვსთქვათ, ინდივიდუალისტური ხასიათი მიიღო. იგი ნამდვილი ჯირითობა იყო, ფალავნობა, იგი ხელობად გარდაიქცა და სტრატეგიას აქ ადგილი აღარა ჰქონდა. იმავე დროს ბიზანტიის დაცემის და დასუსტების ნიშნები ცხადათ ემჩნეოდა. აღმოსავლეთ ევროპაში მოსკოვის სამეფო მხოლოდ გამოდიოდა ისტორიის ასპარეზზე.

სულ სხვა სურათი გვეხატება კავკასიაში და მცირე აზიაში. არაბებმა მაჰმადის შემდეგ მეტად კანავითარეს სამხედრო ხელოვნება, ბევრი რამ ახალი შემოიღეს ბრძოლის წარმოებაში. აქი ამიტომ თავზარი დასცეს ევროპას და აზიას, დაიპყრეს სირია, პალესტინა, გაანადგურეს ძველი სპარსეთი და მცირე აზიის ნაწილი და შემოიჭრნენ კავკასიაში. თითქმის სამი საუკუნე დაჰყვეს არაბებმა საქართველოში და ამ ხნის განმავლობაში მათი ბატონობის მძიმე უღელს მუდამ გრძობდა ქართველი ერი. მუდმივ ბრძოლაში და შეტაკებებში იზრდებოდა და იწვრთნებოდა ქართველების ჯარი. ცხადია, არაბთა სამხედრო ხელოვნებამ დიდი გავლენა იქონია ქართველების სამხედრო ხელოვნებაზედ თუ მოვიგონებთ, რომ იმ დროს სწორედ არაბებმა განავითარეს და მაღალ საფეხურზე აიყვანეს სამხედრო ხელოვნება, დერწმუნდებით რომ ქართველების ჯარს კარგი მასწავლებელი ჰყავდა. არაბებმა წინანდელი ბრძოლის წესი და ჯარების ბრძოლისათვის დაწყობა შესცვალეს. ჩნდებიან წინმავალი და უკანმავალი რაზმები, მხვერავები, პირის-პირ შეხლის გარდა, მიმართავენ აგრედვე ჯარის წვერების შემოვლას, საკვები გზების გადაჭრას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ცხენოსან ჯარის ხმარებას. არაბთა ჯარი არ ცდილობს უსათუოდ სწორს და წინად არჩეულ ბრძოლის ველზე გამართოს ბრძოლა, იგი პირიქით ხშირად ცდილობს მოულოდნელად და სწრაფად დაეცეს მტერს, სადაც კი მოასწრობს.

ყველა ეს ცხადად ემჩნევა, როგორც დავინახეთ ქართველების ჯარს და ამით კი არაბთა გავლენა მტკიცდება.

მეორეს მხრით ხანგრძლივ ბატონობის შემდეგ, როგორც ეს ყოველთვის ხდება, არაბები თანდათან სუსტდებიან, თვით მათ შორის შინაგანი უთანხმოება და ამირთა ურთიერთ ცილობა იჩენს თავს და ყველა ეს, რა თქმა უნდა, მათ სამხედრო ძალას ასუსტებს და თვით ჯარში დეზორგანიზაცია შეაქვს, რასაც თან სამხედრო ხელოვნების დაცვა მოსდევს. სამაგიეროდ ქართველი ერი იღვიძებს; წელში მაგრდება და თანდათან მძიმე უღლის მოშორებას ცდილობს.

სახემწიფოს დაცვისათვის საზღვრებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ღია საზღვრები, ადვილად გასავლელი, მეზობელ სახელმწიფოთა ურთიერთობას უადვილებენ, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას ხელს უწყობენ. ურთიერთზე გავლენის მეტს საშუალებას აძლევენ, სამაგიეროდ სახელმწიფოს დაცვას მეტად აძნელებენ, მტერს შემოსევას უადვილებენ. მათი დაცვისათვის უფრო მეტი ჯარია საჭირო. ასეთს საზღვრებს მუდამ უნდა უდარაჯონ. თუ პატარა საქართველომ აუარებელ მტერთა შემოსევას გაუძლო, თუ იგი სამუდამოდ არ გაჰქარა დედამიწის ზურგდანი, თუ მან დააღწია მაინც და მაინც თავი ირგვლივ შემორტყმულ გაშმაგებულ მტერთ, ამის მიზეზი, სხვათა შორის, საქართველოს საზღვრების ბუნებრივ თვისებებში უნდა ვეძიოთ. ამ მხრით საქართველო ერთს უზარმაზარ ბუნებრივ ციხეს წარმოადგენდა, რომელსაც რამდენიმე შესავალი კარი ჰქონდა. ამ ციხის გალავანს, ე. ი. საზღვრებს სუსტი ადგილებიც მოეპოვებოდა და ჩვენ დავინახავთ, რომ საუკეთესო ქართველ სარდლების ყურადღება სწორედ ამ სუსტ ადგილების დაცვისა და გამაგრებისაკენ იყო მიქცეული.

მეტად პატარა სამეფო იყო საქართველო, იგი ფართე იმპერიალისტურ პოლიტიკას ვერ აწარმოებდა, იგი ვერ აწარმოებდა ამიტომ ფართე შეტევითი ომს, იგი იბრძოდა მხოლოდ თავის დაცვისათვის და თუ ზოგჯერ მისი სახელოვანი სარდლები შორს უცხო ტერიტორიაში ილაშქრებდნენ და მტრის სამეფოს თითქმის შუაგულს შეესევდნენ, ეს მხოლოდ აქტიური მოგერებითი ომი იყო ჯარი აქ არა შეიბოდა და ბრუნდებოდა სამშობლოში. ეს იყო საზღვრების აქტიური დაცვა.

ჩრდილოეთით მაგარი და ძლიერი ზღუდე, ბუნებრივი კედელი ჰფარავდა საქართველოს. კავკასიის მთები მხოლოდ სამ ადგილას იყო გასავლელი 1) ოსეთის გზით, რომელიც ქუთაისიდან იწყება და რაჭა-ლეჩხუმით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ

მიდის, გადალახავს კავკასიის მთებს (ქანქარა-კედელი სავალი) და მიდის ეხლანდელ დარკონთან (ქანქარა-რიალის ხეობა, არაგვის და თერგის ველებით; 3) გზა დარუბანდისა. პირველი გზა მეტად მძიმე სავალი იყო; მეორე მართალია შედარებით უფრო ადვილი სავალია, მაგრამ ვიწრო ხეობის დაცვა და გამაგრება ძნელი არ იყო და სულ მცირედი ჯარი გააჩერებდა მრავალ რიცხოვან მტერსაც კი; მესამე გზა მეტად შორიდან ამასთანავე მძიმე სავალი იყო.

ასე რომ ჩრდილოეთით საქართველო თითქმის სავსებით უზრუნველყოფილი იყო. ამგვარადვე უზრუნველი იყო დასავლეთის მხრით, შავი ზღვის ნაპირებით. იმ დროს არ მოიპოვებოდა ამ ზღვის ნაპირას მდებარე ნაოსნობით ძლიერი სახელმწიფო. ერთად-ერთი ბიზანტია, რომელსაც სხვებთან შედარებით ნაოსნობა უფრო განვითარებული ჰქონდა, მაინც ზღვით ფართო ოპერაციებს ვერ აწარმოებდა.

აღმოსავლეთის საზღვრები კი დანამდვილებით და ზედმიწევნით არ არის გამორკვეული, ყოველ შემთხვევაში ამ საზღვრებს ზემოაღნიშნულ საზღვრებზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდათ. მოსაზღვრე სახელმწიფოები მართალია, იმდენად ძლიერნი არ იყვნენ, საფრთხეს წარმოადგენდნენ, თვით საზღვარი იმგვარივე იყო და იმდენად ახლოს ცენტრთან, რომ ამ მხრით საფრთხე მოელოდა. უფრო მნიშვნელოვანი და საშიში მიმართულება განძიდან მომავალი გზებია. ამ მიმართულებით წამოსული მტერი მტკვრისა, ან და ივრის ნაპირებით ადვილად შეესევოდა საქართველოს, საქართველოს დედა ქალაქი, ტფილისი ამ მხრით საკმაოდ დაფარული არ იყო. მართალია მტკვრის მარცხენა ნაპირი და ქვემო ივრის ველი თითქმის უდაბნოს წარმოადგენენ ამ გზით სვლა ჯარისათვის მეტად ძნელია, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ წამოსული ჯარი თავის მარცხენა წვერს მტკვრის მარჯვენა ნაპირით მდებარე მთებს მიაბჯენდა და ამით უზრუნველყოფდა, გარდა ამისა, ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს სამხრეთითაც მოსაზღვრეთ მაჰმადიანთა სამეფოები ჰყავდა და მაჰმადიანები ხშირად შეერთებული ძალით მოდიოდნენ იერიშით, დავრწმუნდებით, რომ ამ შემთხვევაში განძის მიმართულებას დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა. აქედან შეიძლება ქართველ ჯარისათვის გვერდით მოველოთ და იმ დროს, როდესაც იგი სამხრეთით შემოსეულ მტერს ებრძოდა, განძიდან წამოსულ მოპირდაპირეს მისი მარცხენა წვერისათვის მოველო და ზურგით მოჰქცეოდა. განძის მიმართულება იმდენად საშიში იყო ქართველებისათვის, რომ ხშირად ნახტავიდან წამოსული თურქები განძაზე მოდიოდნენ და აქედან შეესევდნენ ხოლმე საქართველოს ტერიტორიას.

ამიტომ განძას ქართველები დიდს მნიშვნელობას აქლევდნენ და ხშირად ილაშქრებდნენ აქეთკენ და დიდი შანქარის ომი თამარის დროს სწორედ ამ მიზნებით იყო გამოწვეული.

უპირატესობა ეკუთნოდა საქართველოს სამხრეთის საზღვარს. სახელმწიფოს დაცვისათვის სწორედ ამ საზღვარს ჰქონდა მთავარი მნიშვნელობა. აქ საქართველოს მეზობლად ძლიერი და დიდი სახელმწიფოები იყვნენ. სპარსეთი, შემდეგ არაბები და თურქები, ბიზანტია. ერთი მეორის მეტოქეობაში და ცილობაში ყველა მათგანს თვალი მუდამ საქართველოსაკენ ექირათ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ ვის მხარეს იქნებოდა საქართველო, თვით საქართველოსათვისაც სამხრეთის საზღვარს დიდი პოლიტიკურ-კულტურული და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა; უმთავრესი სავაჭრო გზები, საერთაშორისო ურთიერთობა და დამოკიდებულება, სწორედ ამ საზღვრებს ეკროდნენ მაშინდელი კულტურული ქვეყნები, აქედან მიდიოდნენ გზები ბიზანტიაში და რომში, მაშასადამე ვეროპაში.

სწორედ ამიტომ მთავარი შემოსევანი და შეტევანი აქედან იყო მოსალოდნელი და ასეც ხდებოდა.

ამიტომ საჭიროა ამ საზღვრის უფრო დაწვრილებითი განხილვა. საქართველოს ნაწილი, რომელიც ამ საზღვარს ეკრა მუდმივ ბრძოლის ასპარეზად იყო ქცეული.

ამ საზღვრის მნიშვნელობა და თვისებანი ჩვენთვის რომ უფრო ნათელნი იყვნენ, უნდა საქართველოს შემადგენელ კუთხეების მდებარეობა და მათი საზღვრები გავითვალისწინოთ.

ი. გე-ვა-ლი.

ხამხედრო საქმე რომის რესპუბლიკაში*)

მეხუთე საუკუნის შემდეგ რომაელები ასწორებენ ჯარის ორგანიზაციის საქმეს. პირველ ყოვლისა ისინი ანახევრებენ ლეგიონს ე. ი. ძველ დიდ ლეგიონს, ორ ლეგიონათ. შემდეგ მათ თვით ლეგიონშიაც შეაქვთ ცვლილებები. ნაწილები მთლათ ინდივიდუალური, უფრო დამოუკიდებელი ხდებიან. გარდა ამისა იცვლება ამ ნაწილების შედგენილობაც შეიარაღებაცა და დაწყობაც. ამ ცვლილებებმა შეჰქმნეს ეგრეთ წოდებული მანიპულარული რაზმთწყობა, რომელიც უზარმაზარ პროგრესს წარმოადგენდა იმდროისთვის. ტაქტიკურ ერთეულათ ამიერიდან დიდი და მოუხეშავი ლეგიონის მაგიერ მისი პაწია ნაწი-

*) იხ. „რ. ჯ.“ № 5.

ლი მანიპოლა ხდება ლეგიონისათვის სავსებით ალარაა მაშასადამე ის სასაზღვრო პირველი იერში, რომელიც წინათ ერთ წამში შემუსრავდა ხოლომე მას ხშირათ. გარდა ამისა მანიპულარულ წყობილებამ ახალი სტრატეგიულ პრინციპს შეუსაბამა რომის ჯარი. წინანდელი თავისებურათ შეიარაღებული ლეგიონი თუ მარტო ხელჩართული ბრძოლისათვის იყო მოწყობილი, მანიპულარული წყობის რაზმი მანძილზე ბრძოლისათვისაც მოგვარდა პირველი ორი რიგი ახალი შუათ გაყოფილი ლეგიონისა (1200 კაცი) სასროლი შუბებით იყო შეიარაღებული.

ეს 1200 კაცი 10 მანიპულათ იყოფოდენ. ამ მანიპულებში სულ ახალგაზდები შედიოდენ. მათ რომაელები sahatგა უწოდებდენ. შემდეგ მოჰყვებოდენ ხელჩართულ ბრძოლისათვის შეიარაღებულნი „principes“ (1200 კაცია). მათ რიგებში უფრო ხნიერები შედიოდენ. „პრინციპებს მისდევდენ“ ტრიარიები—600 კაცი (რჩეული ჯარი). ესენი კიდევ უფრო ხნიერები იყვნენ. სულ ბოლოს იდგნენ ა. წ. veites რიცხვით. 1200 კაცი, ესენი ყველაზე მდარეთ იყვნენ შეიარაღებულნი და ახალგაზდა და ღარიბ მოქალაქეთაგან შესდგებოდენ. ამ გვართ ახალი ლეგიონი 4200 კაცისაგან შესდგებოდა. მაგრამ როგორც დღევანდელ პოლკსა აქვს მიწერილი ზედმეტათ სხვა ნაწილები, ისე რომაელ ლეგიონსა ჰქონდა მიწერილი 300 კაცისაგან შემდგარი ცხენოსანი რაზმი.

ბრძოლას ამიერიდან ლეგიონი კი აღარ აწარმოებდა, როგორც ერთეული, არამედ მანიპულა. ყოველ მანიპულას საკუთარი დროშა (signum) ჰქონდა. ყოველი მანიპულა ინტერვალით იყო მეორისაგან დამორებული. მთელი წყობა ლეგიონისა, ზევიდან რომ დაგვხედათ, იმდენათ ოთხკუთხევიანი იყო, რომ ჭადრაკის დაფას მოგაგონებდათ. ჯარის მთავარ სარდლათ რესპუბლიკაში ე. წ. კონსული იყო. მას ემორჩილებოდენ ყველა ლეგიონები, თუ დიკტატორი არ იყო საგანგებო შემთხვევისათვის არჩეულ. ლეგიონს არ ჰყოლია განსაკუთრებული უფროსი. მას ექვსი სამხედრო ტრიბუნი უფროსობდა რიგ-რიგათ. თავდაპირველათ მათ თვით კონსული ნიშნავდა, შემდეგში კი ხალხი ირჩევდა. ჩვეულებრივ ესენი წარჩინებულ წოდებას ეკუთვნოდენ. ტრიბუნი ჩვენებურათ რომ ვსთქვათ რომაელი ჯარის შტაბ-ოფიცერი იყო. ობერ ოფიცრებს ცენტურიერები ასის თავებს უნდა შევადაროთ. ყოველ მანიპულაში ორი ცენტურიერი იყო. ესენი იერარქულათ იყვნენ დაწყობილნი პირველ ყოვლისა მანიპულას ორ ცენტურიერთაგან ერთი პირველათ ითვლებოდა მეორე მორჩილათ. შემდეგ



უფროს უმცროსობა იმაზე იყო დამოკიდებული რომელი რიგის მანიპულას უძღოდა წინ ცენტურიორი. ყველაზე უფროსათ ითვლებოდა „ტრიარი“-ების პირველ ცენტურიორი, შემდეგ მისდევდა „პრინციპ“-ებისა, და დაბოლოს „ჰასტატ“-ებისა. ყოველი შთაბ-ოფიცერი ჯარისკაცებიდან იწყებდა სამსახურს და ხმალით იკაფავდა, ასე ვთქვათ, გზას მაღალი თანამდებობისაკენ.

დისციპლინას რომაელები ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდნენ, ძალიან სასტიკიც იყო რესპუბლიკის ჯარში. მთავარ სარდალს უფლება ჰქონდა თვით ობერ-ოფიცერებისათვის დაერტყა წკებლა (როზგი) დანაშაულისათვის.

სხვა სასჯელები ასეთი იყვნენ. 1. საყვედურის გამოცხადება 2) ფულის დაქვრა 3) იძულებითი შრომა 4) სხვა ნაწილში გადაყვანა 5) ჩამოქვეითება, ღირსების ანდა. სარდალი მთელი ჯარის თანხლებით უცხადებდა დასჯილს „tualam opera non utar“ შენ აღარ დამჭირდები, შენთან საქმე აღარა მაქვსო. ჯარის კაცი უნდა გამორჩეოდა რაზმს, აენხნა იარაღი, გაეძრო ტანსაცმელი და წასულიყო 7) „როზგი“ წკებლას ჯერ ტრიბუნი სცემდა დამნაშავეს შემდეგ კი მთელი ლეგიონი. თავისთავათ ცხადია ძნელათ თუ ვინმე გადურჩებოდა ამ სასჯელს 8) სიკვდილით დასჯა. ეს სასჯელი სხვა და სხვა გზით სრულდებოდა. იგი შეიცავდა: ჩაქვავებას, თავის მოკვეთას ჯვარზე გაკვრას და სხვა.

თუ დამნაშავეს ამორჩევა ძნელი იყო ე. ი. თუ დამნაშავე მთელი რაზმი იყო, მაშინ ირჩევდნენ მეთათე კაცს ან მეოცეს და იმას სჯიდნენ.

დასჯა კარგი იცოდნენ რომაელებმა, მაგრამ არც დაჯილდოება იცოდნენ ცუდი. რესპუბლიკის პირველ ხანებში სარდალი გამოიწვევდა ხოლმე დასაჯილდოებელ ჯარის-კაცს ფრონტის წინ, შეაქებდა ყველას თანადასწრებით მის ვაჟკაცობას და შემდეგ, თუ ის ცხენოსანი იყო ცხენის იარაღს მიაართმევდა მას, თუ არა შუბს. შემდეგში ამის მაგიერ ჯარის-კაცებს ოქროს ან ვერცხლის საყელურებს, საგულეებს, სამაჯურებს, მედალიონებს და სხვას ურიგებდნენ ჯილდოთ. ყველა ეს წვრილ ჯილდოთ ითვლებოდა რომაელ ჯარისკაცის თვალში. გაცილებით დიდი ფასი ჰქონდა მისთვის გვირგვინს, რომელსაც ან იმისთვის აძლევდნენ მას რომ პირველი შეუხტა თბრილში მტერს, ან იმისთვის რომ პირველ ავიდა ციხის კედელზე; ან კიდევ იმისთვის რომ პირველი გადახტა მტრის ხომალდზე. არსებობდა კიდევ ერთი ყველაზე ფასდებული გვირგვინი იგი ასეთ წარწერას ატარებდა „act civem servatum“ (მოქალაქის გადარჩენისათვის). ვინც ამ

გვირგვინს მიიღებდა, თავისუფალი იყო მარსხანდელში ბასა და სხვა ამგვარ მოვალეობისაგან მისი მამაც იზიარებდა. ა. ს.

იხ. Momzien Римская истрия т. I
Camille Sulian Armée romaine

ჩვენს მხედრობას.

ბევრჯელ ვნატრობ, ნეტავი ერთი ოცი წლით უკან დავბადებულყავ, რომ ჭაბუკის ვატაცებით, სიყმაწვილის თავდავიწყებით მიცემოდი რევოლიუციის სიკეთით, ახალგაზღვრათ ჩავკონებოდი, ჩავწულიყავ სამშობლოს თავისუფლებას.

ჩვენ ძველი ჩვენი სიყმაწვილე შევალეთ მამინაცვალდენინაცვალთა ჟინიანობას. საქართველოს უკუღმართი ბედის გამო ბატონად მოვლინებულთ შევცქეროდით თვალწარბში და ლუკმა პურისთვის ვემსახურებოდით ერთგულად, ქართველურად, რაინდულად.

სამშობლოს ხსნა უნდა, სამშობლოს შევლა უნდა, მაშინდელ ენაზე ნიშნავდა კახეთის აჯანყების სისხლით და მარჯილით ჩაქრობას, მთიულეთის ამბოხების ჩაქრობას, იმერეთ-ოდიშის გაწამებას და ბოლოს ალიხანოვის გალაშქრებას იმერეთზე, როდესაც ამ მოწინავე და 1905—1906 წ. რევოლიუციონურ მოძრაობის მესვეურ მხარეს გაჩენის დღე აწყველინეს და საუკეთესო შვილთა წამება—სიკვდილი თვალთ ახილებინეს გაწამებულ მშობელ—ნათესავთ.

ვღარაჯობდით მშობელ მხარეს, ამით ხელს ვუწყობდით მცხოვრებთა კეთილდღეობის ქშექმნა—განვითარებას: თითქოს იყო ყველაფერი ისე მოწყობილი, რომ ჩვენს მოძმეებსაც, ჩვენს ერსაც ჰრგებიყო ხვედრი ბედნიერება, იგიც ჩამბულიყო განათლებულ და კულტურულ ერთა ფერხულში, მაგრამ საუბედუროთ ვხედავდით, რომ ჩვენი სამშობლო დღითი—დღე უკან უკან მიდიოდა და ჩვენი მშრომელი ხალხი ფარაჯა—მაზარას ვერ შორდებოდა. . . . სიბნელეს და უფიცობას მოეცვა ჩვენი ტურფა მხარე. აქაც სიკეთე სიკვდე ვადაგვექცა და თვითპყრობელობის ვათახსირებულმა „ჩინოვნიკმა“ ბოროტად მოიხმარა ჩვენ და სხვების მიერ შექმნილი მყუდროება და საწაღმართო გარემოება—რაც იზოვა და იშოვა ჩვენმა ერმა ზოგი პირდაპირი და არა პირდაპირი გადასახადების სახით წაჰკლიჯა, ზოგიც ძალადობით წაართვა. საქართველოს შემოაკრავდნენ რუსეთიდან გადმოსახლებულთა რკალს და გულსაც უბობდნენ და უხერავდნენ მთელი სოფლების დასახლებით შუაგულში და მთელი კუთხის აყრით.

ბევრი სხვა სიკვდე და სიუკუღმართე ახსოვს ჩვენს წარსულს; ჩვენდა საბედნიეროდ, დღეს საქართველო განთავისუფლებულია.

თქვენ ახალგაზრდა მხედართ გადმოგეცით გვემულემა სულიერად და ფიზიკურად გვემული და დატანჯული საქართველო. გადმოგეცით და გავალვით ერთგულ მოვლას და პატრონობას.

დღევანდელი სამხედრო ჰირისთვის არ არსებობს სულიერად შუაზე გავობა. მას არ სჭირია სათვალთმაქცოდ ერთის ქმნა და მეორეზე ფიქრი. სამშობლოსთვის ბრძოლა, მაზე ფიქრი და ზრუნვა დღეს თავისუფალია. საამისო მოღვაწეობისთვის დღეს ჩვენგანი აღარავინ დაიტანჯება ციხეებში, არავინ მოშორდება სამშობლო ცას და მზეს, პირ-

იქით ნამდვილ მოქალაქედ, საუკეთესო მამულიშვილად სწორედ ისინი ჩაითვლებიან, რომელნიც პირად ბედნიერებას სამშობლოს შეაღებენ და მის დღევანდელ წყლულებს დაედებიან მტლად და მალამოდ.

დიდება თქვენს ვაჟაკობას, თუ დღევანდელ გასაჭირ უამს საქართველოს მხარში ამოუდგებით, გაასკვეთებ მეცადინეობას და საპატიო ადგილს დაუმკვიდრებთ ჩვენს სათაყვანებელ ერს განათლებულ ერთა შორის. ნუ ვაკადრებთ საქართველოს უკანასკნელობასაც, იგი ნაჩვევი არაა ბოლო რიგებში დადგომას.

ბედს ჰქვია უნდა, რკინას — გრდემლი და ჩაქუჩი: გრდემლი და ჩაქუჩი ამუშავდა ჩვენს სამშობლოშიც, თქვენ დევ — გმირნო, ქართველნო, მხედრებო, ხელი ხმაღს, და ამით მშობელ ერსაც ააყვავებთ და კაცობრიობასაც შემატებთ ავი ხელით სასიკვდილოთ გამზადებულს, უხსოვარი დროიდგან მუდამ უმადლეს საკაცობრიო იდეალებისთვის მებრძოლ წევრს.

და განა იქნება მეტი ბედნიერება დედამიწაზე — სასიკვდილოთ მოქმედი ხმალი ააცილო მოძმეს, მოძალადე დაასამარო და ტანჯულს კი გზა მშვიდობისა უთხრა!.. აი თქვენი ისტორიული, სათაყვანებელი როლი, ჯარო და ჯარის უფროსნო!..

დ. ცაგარელი

წერილები სხვა და სხვა ქვეყნის პოლიტიკურ წესწყობილებებისა

ა რ გ ე ნ ტ ი ნ ა.

(დასასრული)

პრეზიდენტის არჩევნები საყოველთაო ფარული და არა პირდაპირია. პროვინციები ირჩევენ ამომრჩევლებს. ესენი ასახელებენ საპრეზიდენტო კანდიდატს. ყველა მიცემული ხმა, საარჩევნო ბიულეტენი გროვდება სენატის თავმჯდომარის ხელში, რომელიც კონგრესის (ორივე პალატის) წინაშე აცხადებს არჩევნების შედეგებს.

პრეზიდენტი რესპუბლიკის მეთაურია, ხელმძღვანელობს მთელს მართვა-გამგეობას და ჯარს, სენატის თანხმობით ნიშნავს ფედერალურ მოსამართლეებს, სენატისავე თანხმობით სდებს საზავო და სხვა საერთაშორისო ხასიათის ხელშეკრულებებს ნიშნავს და ითხოვს მინისტრებს და სხვა. აღსანიშნავია, რომ არგენტინის პრეზიდენტი ვალდებულია განკარგულება გამოსცეს ხოლმე რომის პაპის დებულების და მოწერილობის შესასრულებლათ. პრეზიდენტი ხსნის კონგრესს, რომელსაც საერთო მდგომარეობას აცნობს და ურჩევს ამა თუ იმ სასურველ და სასარგებლო ზომების მიღებას.

პრეზიდენტი მოქმედებს მინისტრების ანუ სახელმწიფოურ სტატუს-სეკრეტართა საშეაღებით. პრეზიდენტის ყოველი განკარგულება ხელმოწერილი და დადასტურებული უნდა იყოს ამა თუ იმ მინისტრისაგან. მხოლოდ ამ შემთხვევაში ეძლევა მას კანონერი ძალა, ყველა მინისტრი ვალდებულია

ცალ-ცალკე, თავის მოქმედების შესახებ უსაზღვროდ პასუხისმგებელი იყოს კონგრესს. მინისტრები კლიათ დაესწრონ პარლამენტის სხდომებს, მონაწილეობა მიიღონ კამათში მხოლოდ სათათბირო ხმით. პრეზიდენტი და მისი მინისტრები პასუხისმგებელია პალატის და სენატის წინაშე ამაში ძალიან ნსხვავდება არგენტინის კონსტიტუცია შტატების კონსტიტუციისაგან.

საკანომდებლო უფლება თუ ძალა-უფლება ეკუთვნის ორპალატიან კონგრესს (პარლამენტს). ერთს დეპუტატთა პალატას ირჩევს პირდაპირ მთელი ხალხი მეორეს — სენატს ავტონომიური პროვინციები და სატახტო ქალაქი. პალატის საარჩევნო ოლქებად პროვინციება გამოცხადებული. 20,000 მცხოვრებზე ირჩევა ერთი კანდიდატი. დეპუტატებს ოთხი წლით ირჩევენ, ხოლო თვით პალატა ახლდება ყოველ ორ წელიწადში ნაწილობრივ, სანახევროთ. სადებუტატო ასაკია 25 წელი. ამავე დროს დაპუტატათ რომ აირჩეთ საჭიროა ოთხი წელიწადი მაინც სარგებლობდეთ მოქალაქეობის უფლებით და დაიბადოთ იმ პროვინციაში, სადაც გირჩევენ ან იქ არჩევენამდე ორი წელიწადი უნდა ცხოვრობდეთ.

ინიციატივა გადასახადების და ჯარის შედგენის და მოკრების კანონპროექტების შეტანისა ეკუთვნის მხოლოდ დეპუტატთა პალატას; აგრეთვე მხოლოდ პალატას აქვს უფლება სამართალში მისცეს პრეზიდენტი, მინისტრები, მოსამართლენი.

სენატორებს ირჩევენ პროვინციები, ოროლს თვითო. სენატორი უნდა იყოს უკანასკნელი 30 წლის. ექვსი წელიწადი მოქალაქეობის უფლებითი უნდა სარგებლობდეს, წლიური ფულადი შემოსავალ უნდა ქონდეს უკანასკნელი 2000 პეზეთი (პეზეთი ათ შაურზე ცოტა მეტია). დაიბადოს იმ პროვინციაში სადაც ირჩევენ, ან იქამორჩევამდე ორი წელიწადი უნდა სცხოვრობდეს. სენატორთ 9 წლით ირჩევენ. სენატი ახლდება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ, ნაწილობრივით (მესამედით). რესპუბლიკის ვიცე პრეზიდენტი სენატის პრეზიდენტი. სენატი ასამართლებს პრეზიდენტს, მინისტრებს და სხ. ორივე პალატის წევრთაათვის არსებობს ფიცის დადება. კონგრესის წევრებად ვერ იქნებიან სასულიერო წოდების პირნი, აგრეთვე პროვინციების გუბერნატორები ვერ იქნებიან პროვინციების წარმომადგენლები.

რა უფლებები აქვს კონგრესს? კონგრესი აწესებს ფედერალურ გადასახადებს. სესხს, დებულობს ბიუჯეტს, ხელმძღვანელობს ფულის მეურნეობას, იმუშავებს სამოქალაქო, სისხლის სამართალს, სამთო დასავაჭრო დებულებებს,



უძღვება ფოსტას, საზღვრებს და ხელუხლებლობის საკითხებს, ისმენს და ღებულობს პრეზიდენტის გადადგომის მოტივებს, ადასტურებს ხელ შეკრულებებს, ნებას აძლევს პრეზიდენტს ომის და ზავის გამოცხადებისას და სხ.

ინიციატივა საკანონმდებლო ეკუთვნის კონგრესს და პრეზიდენტს; უკანასკნელს აქვს საკანონმდებლო ვეტო (კანონის შეჩერების უფლება მეორედ განხილვამდე). სახელმწიფოს ოფიციალური ენა არის ისპანიური. გავრცელებულია აგრეთვე ფრანგული და ინგლისური. ინდიელთა შორის მეფობს გუარანული ენა.

სამოსამართლო უფლებას ანსახიერებს უმაღლესი სასამართლო, რომელიც სწყვეტს და უძღვება ფედერაციის საქმეებს.

პროვინციებს აქვთ უფლება თვითკანონმდებლობის და თვითმართველობის ფედერალურ კონსტიტუციის საზღვრებში. ისინი თავის საკუთარი კანონების თანახმად ირჩევენ საკანონმდებლო ორგანოებს, გუბერნატორებს და სხ. პროვინციათა შორის აკრძალულია ომი; ყოველი სამხედრო მოქმედება ერთიერთმანეთის წინააღმდეგ მიმართული, ითვლება სამოქალაქო ომად და აჯანყებად, რომლის ჩაქრობა ევალება ფედერალურ მთავრობას.

არგენტინის რესპუბლიკის კონსტიტუციის გადაშინჯვა, როგორც მთლათ თუ ნაწილნაწილათ, ყოველთვის შესაძლებელია, თუ ეს მოითხოვია კონგრესის უმრავლესობამ, ხოლო თვით გადაშინჯვა უნდა მოახდინოს კონვენტმა, რომელიც განსაკუთრებით ამ მიზნით უნდა იქნეს მოწვეული.

3. საყვარელიძე.

გმირები

და როდესაც ჩამოჰკრეს საქართველოს ზარებს. როდესაც გაისმა თავდაცვის სალი ხმა.

როდესაც მოხუცმა სვიმონმა საქართველოს სამრეკლოდან განაპყრო ხელი ხალხისაკენ.

როდესაც ენა დაბმულმა საქართველოს ხუროთმოძღვარმა ბრძოლისკენ მოუწოდა...

ისინი წავიდენ.

წავიდენ ერთად მებრძოლნი ძმები, კირში გამოწვრთილნი.

და წავიდენ ისინი წითელი მარშით.

გაელვარებუი — აღზნებული თვალებით.

გადარჯაკებული — გაკაჟებული ნებით:

რომ დაიცვან საქართველოს თავისუფლება.

რომ დაიცვან თავისუფლათ მოფრიალე წითელი დროშა შემოსეულ კბილ-დახრეკილ მტრისაგან.

მათ უკან არ მოუხედიათ, ისე — როგორც არ ინდებოდა არც ერთი გმირი მოშუქებულ იდელებისათვის განწირული.

მათ არ სწყუროდათ სისხლი.

მათ არ უნდოდათ ხოცვა.

მათ არ სურდათ სხვისთვის ვაი.

ისინი მუდამ ისწრაფოდენ ძმობისაკენ!

ისინი მუდამ სრბოლავდენ ერთობისაკენ!

ისინი მუდამ ილტოდენ თავისუფლებისაკენ!

მაგრამ აღმასს საქართველოს მოუხტა ვერაგი მტერი.

მაგრამ თავისუფლებისა და ძმობის საქართველოს დემოკრატიას უკანიდან თავს დაესხნენ და მახვილის ჩასაცემათ განემზადდენ...

ეს იგრძნო ყველამ.

ყველაზე უფრო შეხებით იგრძნეს მათ.

— წითელმა გმირებმა.

და გაფრინდენ მოქნეულ მახვილისათვის თავის მახვილის გადასაქდობათ.

და თავის გულგრდემლზე გადასტეხეს მტრის მახვილი ბრძოლის ველზე.

ცეცხლეურ სიყვარულით მათ დასდევს თავი საქართველოს თავისუფლების საკურთხეველზე...

თავისუფლების შესაწირათ...

წითელი გმირები...

ხალხის პირმშონი...

უკვდავი რაინდები...

ლიკსუხი.

მისაღმებანი.

პარლამენტის თავმჯდომარეს ჩხეიძეს.

პარლამენტის თავმჯდომარემ ნ. ჩხეიძემ შემდეგი დეპეშა მიიღო ფრანტიდან გენ. მაზნიაშვილისაგან: „მე და ჩემდამი რწმუნებული ჯარები გილოცავთ თქვენ და პარლამენტის წევრებს ახალ წელს და გისურვებთ დღევრძელობას ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეობით“.

გენერალ მაზნიაშვილს.

„საქართველოს პარლამენტის სახელით გულწრფელ მადლობას გიძღვნი თქვენ და საქართველოს ჯარს.

გილოცავთ ახალ წელს, რომელსაც ამაყათ შევხდით ჩვენი სახელოვანი ჯარის წყალობით“.

საქართველოს პარლამენტის

თავმჯდომარე **ნ. ჩხეიძე.**

სამხედრო მინისტრს.

ჩემი და ჩემდამი რწმუნებული დივიზიის სახელით გილოცავთ თქვენ და ყველას თქვენთან ერთად სამშობლოს საბედნიეროთ მოღვაწეობას ახალ წელიწადს. ვუსურვებ ნორჩ მხედრობას ბრწყინვალე გამარჯვებას და მტრის საბოლოოთ დამარცხებას.

გენერალი **ართმელაძე:**

სამხედრო მინისტრს

სულითა და გულით გილოცავთ ჩვენა ღირსეულა წინამძღოლო, ახალ, 1919 წელს ჩვენ, ქართველ მუსულმანთა ბათალიონის ოფიცრები და ჯარის კაცები ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობასთან ერთად. გისურვებთ,



რომ ახალ წელს მოეტანოს ახალი გამარჯვება ჩვენი ტურ-
თა სამშობლოსათვის და მის დემოკრატიისათვის. დაგვიძა-
ხეთ ჩვენ მზათა ვართ, ბატონო მინისტრო, მტლათ დავედუ-
ბით ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის ინტერესებს.

ოზურგეთის ქართველ მუსულმანთა ბატალიონის
უფროსი პოლკოვნიკი **ახლან ბეგ აბაშიძე**
მთავრობას.

ბორჯომის ქართველები და სომეხ კათოლიკეები სული-
თა და გულით ულოცავენ მთავრობას ახალ წელს და ღრმა
მადლობას უძღვნიან მათ, კეთილ ინება და ნება დართო
თავისუფლად შესულიყვნენ ახალ ციხისა და ახალ ქა-
ლაქის მახრებში.

რწმუნებული მღვ. **გაბრიელ ტოზელაშვილი**

სოჩიდან. „მთავრობის წარმომადგენლის მუხრან
ხოქოლავასა, გენ. გედევანიშვილის ბრძოლაში გამობრმედი-
ლი პარტიზანული რაზმის მთელის შემადგენლობისა, სახალ-
ხო გვარდიის ბატარეასა და დემოკრატიულ რესპუბლიკის
მე-2 და მე-3 პოლკების ნაწილებთან ერთად მე მცირე სა-
დილოზე ვაფასებ რა ყოველ სფეროში ჩვენი ხელმძღვანელებ-
ის ღირსებას საქართველოს რესპუბლიკის მოწყობაში, მო-
გილოცავენ თქვენ ახალ წელს. მალღათ ვწევ ჭიქას და
ვსვამთ თქვენსი. ყველა ჩვენი მინისტრების, მთელი მშრომე-
ლი მასის და ჩვენი რესპუბლიკის სადღეგრძელოს და ვისურ-
ვებთ იმ საფუძვლების გამტკიცებას, რომელსაც უნდა დაეყრ-
დნოს საქართველოს რესპუბლიკა. ჩვენ, ზღვის პირის ფორ-
ტის შვილნი, თავს დავსდებთ თავისუფლების გასამტკიცებ-
ლათ და ეხლანდელი მთავრობის გასაძლიერებლად.

გენერალი **კონიაშვილი**

აშალა სერალი

მე და ჩემი ჯარი გულით და სულით მოგილოცავენ
ახალ წელს.

გენერალი **მაზნიაშვილი.**

ეკატერინენფელდიდან

ეკატერინენფელდის რაზმი, რომელმაც გუშინ ბრწყინ-
ვალეთ გაიმარჯვა ბოლნის-ხაჩინთან, თავის მთავრობას და
ხალხს ულოცავს ახალ წელს და იმედს გამოსთქვამს, რომ
მომავალი წელი საბოლოოდ გაამავგრებს რევოლიუციით
ყველა მონაპოვართ და ჩვენს ქვეყანას მისცემს სანატრელ
ზავს. ამასთან ერთად მთელი რაზმი, ემორჩილება რა საე-
სებით თავის მთავრობას, მიუხედავთ ამისა ფიქრობს, რომ
უდროვოა დროებითი ზავის ჩამოგდება მაშინ, როდესაც
ჩვენი ჯარები მედგრად იმარჯვებენ თავხედ და ბოროტ
მტერზე.

სახალხო გვარდიის საველე შტაბი.

პროკონიკა

31 დეკემბერს ჩვენმა ჯარმა ბრძოლით დაიკავა სოფ-
ბოლნის-ხაჩინი. 31 დეკემბერს დღის 24 საათზე მთავრო-
ბის განკარგულებით შესწყდა საომარი მოქმედება და გაქ-
ცეული მტრის დევნა. 1 იანვარს დროებითი ზავის დარღვე-
ვის შემთხვევა არ ყოფილა.

საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც
სომხებთან ომში დაღუპულთა ოჯახობა ნივთიერად უზრუნ-
ველყოფილი იქნება.

დემოკრატიული ორგანოების წარმომადგენლობა
ლობამ თფილისში თანამედროვე მომენტზე მოხსენების შემ-
დეგ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც სრულ ნდობას უც-
ხადებს საქართველოს მთავრობას და აღუთქვამს ყოველ
მხრივ დახმარებას.

ახალციხის გლეხთა სამაზრო ყრილობა რომელიც
1 იანვარს გაიხსნა, სალამს უძღვნის ჩვენს მთავრობას,
აღუთქვამს გარეშე მტერთან ბრძოლაში დახმარებას. ყრი-
ლობამ მოიწონა მთავრობის ნაბიჯები, მიწის საკითხის
გადასაჭრელად გადადგმული.

მიწათმოქმედების მინისტრმა სოხუმიდან შემდეგი დე-
პეშა მიიღო: „მიწების მიმღები კომისიების კოდორის რაიონ-
ში შესვლამ და მიწაობის დაწყებამ ძლიერი შთაბეჭდილე-
ბა მოახდინა გლეხებზე. მათი თანაგრძობა სავესებით ჩვენ-
სკენაა. აუცილებლად საჭიროა მიმღები კომისიები დაუყო-
ნებლივ დაინიშნონ აგრეთვე სამურზაყანოსა და გულაუთის
რაიონებში, რათა გლენობა აქაც დაწმუნდეს, რომ საქარ-
თველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა სავესებით
იცავს მათ ინტერესებს. საჩქაროთ გამოგზავნეთ მიწის მზო-
მელები“.

ისიდორე რამიშვილი.

ლონდონიდან მთავრობას და ადგილობრივ ინგლისე-
ლებს მოუვიდათ დეპეშა ჩვენი დელეგატის ზ. ავალიშვილი-
სა: ინგლისი ფაქტიურად აღიარებს საქართველოს დამოუ-
კიდებლობას, ფორმალურად მერე დაადასტურებენ, ხოლო
რუსეთის გაერთიანება საქართველოს სრულიად არ შეეხებათ.
ჰკითხულობს აგრეთვე-როდის წამოვა ჩვენი დელეგაციათ.

28, 29 და 30 დეკემბერს თფილისში მოხდება მცხოვ-
რებთა აღწერა. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ
ქვეშევრდომობის კანონის თანახმად უნდა შესდგეს ახალი
საარჩევნო სიები და ამის შემდეგ მოხდება თფილისის ქა-
ლაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნები.

3 იანვარს, დასრულდა ქალაქ თფილისის მცხოვრებთა
აღწერა. ჯერჯერობით სიაში შეტანილია დაახლოებით
55,000 კაცი.

სიაში შეტანილია:

პირველ კომისარიატში 6,000 კაცი, მეორეში — 5,988,
მესამეში — 4,132; მეოთხეში — 2680; მეხუთეში — 2,650; მერ-
ვეში — 2,333; მეცხრეში — 6,952; მეთექვსეში — 4,201; მეთერთ-
მეტეში — 7,660 მეთორმეტეში — 3,444; მეცამეტეში — 1,520.

გამოურკვეველია ჯერ მეექვსე და მეშვიდე კომისარია-
ტების ამრჩეველთა რიცხვი, რაც დაახლოებით ათიათასამ-
დე უნდა იყოს. სულ ამრჩეველთა რიცხვი იქნება 60 ათა-
სიდან 65 ათასამდე.

დავეალა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ლტოლ-
ვილნი, რომელნიც იმყოფებიან მე 300 ვერსზე, თვით ქა-
ლაქში და სხვა რაიონებში, გაძევებულ იქნან საქართვე-
ლოს საზღვრებიდან.

1917 წ. 16 დეკემბრის აგრაღური კანონი ვრცელ-
დება უცხო ქვეშევრდომებზედაც.

უარი ეთქვა აღებრეიჯანის მთავრობას იმ საბუთე-
ბის გადაცემაზე, რომელნიც ზაქათალის ოლქს შეეხებიან.



ფასი 1 ჲ. 50 კ.